F 171
1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

1

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

იანვარი

თბილისი 1975

# რეკომენდაციები

## მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმის ორგანიზაციის შესახებ

ამ უკანასკნელ წლებში სახალხო განათლების ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების, სასკოლო შენობებისა და დგამ-ავეჯის (მოწყობილობის) სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის ზომების უზრუნველყოფის, სასწავლო დროის სწორად განაწილებისა და მის გამოყენებაზე კონტროლის დაწესების, მოსწავლეთა კლასგარეშე შემოქმედების რეგლამენტირების, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმის სრულყოფაში, სასკოლო ნაკვეთებისა და სკოლების ინტერიერების კეთილმოწყობის, მოსწავლეთა ცხელი საუზმით უზრუნველყოფის საქმეში.

მაგრამ, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ მთელი რიგი სკოლების მუშაობის შემოწმება, ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების, სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის ინსტიტუტის გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ სკოლების ხელმძღვანელობა, მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები ნაკლები სიმკაცრით ასრულებენ მოსწავლეთა დასვენებისა და შრომის რაციონალური ორგანიზაციის მოთხოვნებს.

გამოვლინებულია არსებითი ნაკლოვანებები მოსწავლეთა დღის რეჟიმის ორგანიზაციაში: გაკვეთილების ცხრილი ყოველთვის არ არის რაციონალურად აგებული, არ არის დაცული მთელი დღის და კვირის განმავლობაში „ძნელი" და „ადვილი" გაკვეთილების მონაცვლეობა, ხშირად, აუცილებლობის გარეშე, დაგეგმილია დაწყვილებული გაკვეთილები.

მთელ რიგ გაკვეთილებზე მოსწავლეთა შემოქმედებითი საქმი-

ხნობის ძირითად სახედ აღებულია დასწავლა—ტექსტის კითხვა და ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა., უფრო ხშირად მასწავლებლები აძლევენ მოსწავლეებს ასეთ რეკომენდაციებს: წაიკითხეთ, გაიმეორეთ, დაიმახსოვრეთ.

გაკვეთილების ერთფეროვანი ხასიათი, ყურადღების გამახვილება დამახსოვრებაზე, ნაკლები ზრუნვა მოსწავლეთა აზროვნების განვითარებაზე, გაკვეთილზე მათ შემოქმედებით აქტივიზაციაზე აქვეითებს მოსწავლეთა ყურადღებას, ხელს უშლის მათი შემეცნებითი ძალებისა და შესაძლებლობების განვითარებას და, ამასთან ერთად, ზრდის მოსწავლეთა დატვირთვას კლასგარეშე დროს. იმის შედეგად, რომ მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის საშინაო დავალებების მომზადების დრო აჭარბებს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის წესდებით განსაზღვრულ ნორმებს, შერჩევითი შემოწმებების მონაცემებით დაწესებული ნორმების გადაჭარბებით მუშაობს III კლასის მოსწავლეთა 30%, VII კლასის მოსწავლეთა—19%, IX კლასის მოსწავლეთა—16%.

ტრადიციული გახდა გაკვეთილის გადაცემისას ისეთი შეცდომა, როდესაც საშინაო დავალების ჩაწერა ხდება ზარის დარეკვის მომენტში ან შემდეგ. ამასთან, ეს კეთდება ყოველთვის ნაჩქარევად, მისი შესრულების რაციონალური ხერხების განმარტების გარეშე.

შემდგომ სრულყოფას მოითხოვს აგრეთვე მოსწავლისა და მასწავლებლის შრომის ორგანიზაცია. ყოველთვის არაა მეთოდურად სწორად და საკმაოდ ეფექტურად გამოყენებული სწავლების ტექნიკური საშუალებები.

დიდ სასწავლო დატვირთვასთან ერთად იზრდება მოსწავლეთა გადატვირთვა სხვადასხვა კლასგარეშე შემოქმედებით.

მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული მოსწავლეთა მოძრაობა, ჭარბობს მოქმედების სტატიკური სახეები, რომლებიც ართმევენ მოზარდს საშუალებას, იყოს ჰაერზე, ივარჯიშოს, იშრომოს ფიზიკურად.

სკოლების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კლასგარეშე სპორტულ მეცადინეობებში მონაწილეობს მოსწავლეთა 50%. მოსწავლეთა 70—75 % ყოველდღიად უყურებს ტელეგადაცემებს, რასაც უთმობს 1,5 საათს.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა მიერ ტელეგადაცემებით გადაჭარბებით გატაცება ამცირებს მათ დასვენებას

სუფთა ჰაერზე, ჭამის, ძილის ხანგრძლივობას, უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ძილის ხანგრძლივობა რეკომენდებულ ნორმაზე ნაკლებია. ხშირად არასწორადაა ორგანიზებული მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა. ასე მაგალითად, ზამთრის პერიოდში, მოსწავლეთა შრომითი შემოქმედება განისაზღვრება თვითმომსახურებითა და მაკულატურის პერიოდული შეგროვებით. გვაქვს შემთხვევები, როდესაც მასობრიური ღონისძიებების ხანგრძლივობა არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს.

არსებული ნაკლოვანებები სკოლების მუშაობაში აიხსნება დირექტორების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაში მათი მოადგილეების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების წესდების (§ 43, 45, 47) შესრულების საქმეში პასუხისმგებლობის გრძნობის დაქვეითებით, გაკვეთილების ხარისხზე მათი სისტემატური კონტროლის უქონლობით, საშინაო დავალებების დიდი მოცულობითა და კლასგარეშე მუშაობის დაგეგმვით.

ჩამოთვლილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ზუსტი ორგანიზაციისადმი მომთხოვნელობის გაზრდა წარმოადგენს სახალხო განათლებისა და სკოლის მუშაკების ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაზე ბევრადაა დამოკიდებული მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობა.

სასწავლო დღისა და კვირის განმავლობაში მოსწავლეთა მაღალი შრომისუნარიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა სწორად და პედაგოგიური მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. მონაცემები მოსწავლეთა შრომისუნარიანობის დღიური დინამიკის შესახებ, მიღებული სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიისა და ბავშვთა ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ, გვიჩვენებს, რომ II—III კლასების მოსწავლეთა დაღლილობა იწყება უკვე მეორე გაკვეთილიდან და მკვეთრად იზრდება მეოთხე გაკვეთილისათვის. უფრო ღრმა დაქანცულობა ეტყობა III კლასის მოსწავლეებს. საშუალო და უფროს კლასებში შრომისუნარიანობის დაქვეითებას ვამჩნევთ მეოთხე გაკვეთილზე, მეხუთე გაკვეთილზე „ირთვე-

მათ ორგანიზმის კომპენსატორული მექანიზმები და შრომისუნარიანობა იზრდება, ხოლო შემდეგ კი მკვეთრად ეცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანშეწონილია იმ სასწავლო საგნების გაკვეთილები, რომლებიც მოითხოვენ დაძაბულ მუშაობას, ცხრილში დავგეგმოთ ამ მონაცემების გათვალისწინებით. სასურველია, გაკვეთილები, რომლებიც იწვევენ მოსწავლეთა ძლიერ დაქანცულობას, ენაცვლებოდეს უფრო ადვილ გაკვეთილებს. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გადართონ ყურადღების სახეები, შექმნის ზეპირი და წერითი სამუშაოების სწორ თანმიმდევრობას და ა. შ. როგორც წესი, არ შეიძლება ცხრილში შეტანილ იქნეს ორი საათი ზედიზედ ერთ და იმავე საგანში. ასეთ გაკვეთილებზე მოსწავლეები უფრო მალე იღლებიან, ხოლო შემდეგ მათი შრომისუნარიანობა ძალიან მცირდება. აუცილებელია ავიცილოთ ცხრილში კონცენტრირება ერთ დღეს ჰუმანიტარული საგნებისა, ხოლო მეორე დღეს—ბიოლოგია-მათემატიკურისა.

მთელ რიგ სკოლებში ირღვევა შესვენებების ხანგრძლივობა, თვითნებურად შემოღებულია უფრო მოკლე დასვენებები, ცალკეული მასწავლებლები არ უწევენ ანგარიშს ზარს, განაგრძობენ მეცადინეობას.

ცნობილია, რომ ბავშვთათვის შრომისუნარიანობის აღდგენის საუკეთესო საშუალებაა იმოძრაონ ჰაერზე ან განიავებულ შენობაში, მხოლოდ უნდა მივაქციოთ, რომ არ გადააჭარბონ მოძრავი აქტივობის ზღვარს და არ დაირღვეს სკოლაში დაწესებული ყოფაქცევის ნორმები. იქ სადაც ეს შესაძლებელია, დასვენებებზე უნდა მოეწყოს მოძრავი თამაშობანი. ასეთ შემთხვევებში, რამდენიმე წუთით ადრე ზარის დარეკვამდე, საჭიროა გადავრთოთ მოსწავლეთა ყურადღება შედარებით წყნარ გართობაზე, გრილ ამინდშიც კი ბავშვები უნდა ისვენებდნენ სუფთა ჰაერზე იმ პირობით, რომ ისინი აქტიურად იმოძრავებენ. თუ ცხრილში დაშვებულია ორი დიდი დასვენება, მოსწავლეები უნდა გამოდიოდნენ ჰაერზე რიგ-რიგობით. თუ დასვენებაზე მოსწავლეები სკოლის შენობაში არიან, დასვენების წინ რეკრიაციები კარგად უნდა განიავდეს. დასვენების დროს აუცილებლად უნდა განიავდეს აგრეთვე სასწავლო სათავსოები (კლასები, კაბინეტები).

მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე და შრომისუნარიანობაზე უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს საშინაო დავალებების მოცულობის გაზრდა. დირექტორის მოადგილეები სასწავ-

ლო-აღმზრდელობით მუშაობაში, აგრეთვე კლასის ხელმძღვანელე-ბი სისტემატურად უნდა აკონტროლებდნენ საშინაო დავალებების მოცულობას, ცდილობდნენ მიაღწიონ გარკვეულ შეთანხმებას მასწავლებელთა შორის იმ გაგებით, რომ დავალებების შესრულების დრო არ აჭარბებდეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით (§ 12) დადგენილ ნორმას. საჭიროა შეიზღუდოს ისეთი დავალებები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდიან გაკვეთილის მომზადების დროს: სქემების, რუკების, ნახაზების, ჩანახატების შედგენა, მოხსენებების, რეფერატების, საშინაო თხზულებების მომზადება.

როგორც სკოლების გამოცდილება გვიჩვენებს, სასარგებლოა შემუშავდეს მოსწავლეთათვის სპეციალური სამახსოვრო სახლში დამოუკიდებლად მუშაობისათვის. მასწავლებელთა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოსწავლეთა გონებრივი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები; მოსწავლეებმა უნდა მიიღონ რეკომენდაციები, როგორ შეისწავლონ მოცემული თემა, როგორ შეასრულონ ესა თუ ის სავარჯიშო და ა. შ. საჭიროა სისტემატურად ვუნერგავდეთ მოსწავლეებს წიგნზე, ლექსიკონზე, ცნობარზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს. მოსწავლეთა მაღალი შრომისუნარიანობა, მათი დაქანცულობის დონის შემცირება მიღწეულ იქნება არა მარტო დიდაქტიკური, არამედ ჰიგიენური მოთხოვნელობით სასწავლო მეცადინეობისადმი. მიზანშეწონილია, განსაკუთრებით უმცირესი ასაკის მოსწავლეებთან მეცადინეობისას, შუაგაკვეთილის პროცესში, სისტემატურად ვატარებდეთ ფიზკულტურულ პაუზას, რათა მოსწავლეებს მოვხსნათ დაღლილობის შეგრძნება და მივცეთ გარკვეული მოძრაობითი დატვირთვა.

მოსწავლეთა დაქანცულობის თავიდან აცილების საშუალებები უნდა ვიხმაროთ კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციის დროსაც. გამომდინარე იქიდან, რომ გაკვეთილების პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ ჰიპოდინამიკური მოვლენები, საჭიროა, თანდათანობით შევამციროთ ის კლასგარეშე სამუშაო დრო, რომელიც მოითხოვს უმოძრაობას, აგრეთვე ნებისმიერი ყურადღების გაძლიერებულ კონცენტრაციას (კრებები, სხდომები, შეკრებები). დაუშვებელია მათი ჩატარება გაკვეთილების შემდეგ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამგვარი ღონისძიებების ეფექტურობა იკლებს, თუ მათ მოვანდომებთ 45 წუთზე მეტს.

თითოეული მოსწავლე უნდა ასრულებდეს მხოლოდ ერთ სა-

ზოგადოებრივ დავალებას და მონაწილეობდეს არაუმეტეს 2 წრის მუშაობაში, იმ პირობით, თუ მეცადინეობას წრეში აქვს შრომითი, მხატვრული ან სპორტული ხასიათი, საზოგადოებრივ საქმიანობაში მოსწავლეები უნდა მონაწილეობდნენ მათი ინდივიდუალური ინტერესების, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

მოსწავლის დღის რეჟიმის შედგენის დროს უნდა გავითვალისწინოთ მოზარდთა ინტერესები: უმცროსი ასაკის მოსწავლეებს —1—1.5 სთ., ხოლო საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეებს —1,5—2,5 სთ; ამ დროს მოსწავლე გამოიყენებს მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად, კონსტრუირების, ხატვის, მუსიკის, ტელეგადაცემების მოსმენისათვის და სხვ.

სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმის სწორი ორგანიზაცია შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სკოლის ადმინისტრაცია და საზოგადოებრიობა ყურადღებას იჩენს სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების, სკოლის შენობის ექსპლოატაციისას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საქმისადმი. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სკოლის შენობის განათებასა და მერხების ზომებს მოსწავლეთა ასაკის მიხედვით.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა დღის რეჟიმის დარღვევა ამოწვეულია მოსწავლეთა ოჯახების, კერძოდ, მშობლების ნაკლები ყურადღებით ბავშვთა პირადი ჰიგიენის, დასვენების სწორი ორგანიზაციისადმი.

პედკოლექტივის ვალია დაეხმაროს მშობლებს მოსწავლეთა კლასგარეშე დროის სწორი ორგანიზაციის საქმეში, ამისათვის, მშობელთა შორის, სისტემატურად უნდა ტარდებოდეს საუბრები და ინდივიდუალური კონსულტაციები.

მშობლები არ უნდა ტვირთავდნენ ბავშვებს რამდენიმე დამატებითი საგნის შესწავლით (უცხოური ენა, მუსიკა, ფერწერა და ა. შ.), უნდა გონივრულად ზღუდავდნენ ტელეგადაცემებზე დასწრების დროს, საჭიროა ღამის ძილის სწორი ორგანიზება, ბავშვის გაღვიძება. აუცილებელია გარკვეული დროის განმავლობაში მივლენილობა მონაწილეობა ბავშვების საოჯახო საქმიანობაში.

მშობლებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ბავშვისათვის აუცილებელია ყოფნა ჰაერზე, რეგულარული კვება, ჰიგიენურად სრული ფიზიკური ძილი, მოძრაობა, ფიზიკური ვარჯიში და სპორტი.

მშობლებისათვის ამგვარი რეკომენდაციები დღის რეჟიმის

დაცვის, საშინაო დავალებების შესრულებისა და ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის საკითხში უნდა ითვალისწინებდეს ოჯახის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და ცხოვრების პირობებს. ჰიგიენური აღზრდა და განათლება მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის განუყრელი ნაწილია.

სკოლაში უნდა ჩავუნერგოთ მოსწავლეებს ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევები, მივცეთ სათანადო ცოდნა, აღვზარდოთ მათში საკუთარი ჯანმრთელობისადმი შეგნებული დამოკიდებულება.

სანიტარული განათლება უნდა იყოს ყოველი მასწავლებლის მუშაობის აუცილებელი ნაწილი და ხორციელდებოდეს მის მიერ როგორც გაკვეთილზე, ისე კლასგარეშე მუშაობის დროს.

სხვადასხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიების არსი უნდა ავუხსნათ მოსწავლე-ახალგაზრდობას საუბრის, კითხვის, დიაფილმებისა და კინოფილმების, გამოფენების გამოყენების გზით. ჰიგიენური განათლება შეტანილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო პროგრამაში და მოსწავლეები უნდა ითვისებდნენ მის არსს რამდენიმე წლის მანძილზე, კლასიდან კლასში გადასვლისას, რაც ბევრადაა დამოკიდებული გარემო პირობებისაგან. როდესაც გარემოება პასუხობს ჰიგიენურ მოთხოვნებს (შენობაში სისუფთავეა, განიავებულია, ავეჯი წესრიგშია და ლამაზადაა დაწყობილი, მოწესრიგებულია ხელსაბანი, სანიტარული კვანძები და სასმელი წყლის რეჟიმი) ჰიგიენურ ჩვევებს ბავშვები უფრო სწრაფად ითვისებენ მოსწავლეთა შორის ჰიგიენური ჩვევების დანერგვის სიმტკიცე ბევრადაა დამოკიდებული თვით მასწავლებელზე, მის აკურატულ და მოწესრიგებულ გარეგნობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ სრულდება რეჟიმი საბავშვო დაწესებულებაში.

# РЕКОМЕНДАЦИИ

## по органинации учебно-воспитательного режима школьников

За последние годы органами народного образования проделана значительная работа по укреплению материальной базы школы, улучшению санитарного состояния школьных зданий и оборудования, строгому соблюдению мер по технике безопасности и охране здоровья школьников, обеспечению контроля за правильным распределением и использованием учебного времени, регламентированию внеклассной деятельности школьников, совершенствованию постановки физического воспитания учащихся, благоустройству интерьеров школ и пришкольных участков, организации горячего питания.

Однако проверка работы школ министерством просвещения СССР, исследования НИИ физиологии детей и подростков и других институтов АПН СССР, Института гигиены детей и подростков Министерства здравоохранения СССР показали, что руководители школ, учителя и родители учащихся недостаточно строго выполняют требования рациональной организации труда и отдыха школьников.

Выявлены существенные недостатки в организации режима дня школьников. Расписание уроков не всегда строится рационально, не соблюдается правильное чередование в течение дня и недели „трудных“ и „легких“ уроков. Нередко, без особой в этом нужди, планируются сдвоенные уроки.

Заучивание в процессе чтения и простое воспроизведение текста на многих уроках становятся главным видом деятельности школьников. Учителя больше всего апеллируют к памяти учащихся: прочтите, повторите, запомните—вот наиболее привычные рекомендации.

Однообразный характер уроков, упор на запоминание, недостаточная забота о развитии мышления учащихся, активизации их деятельности на уроке — все это притупляет внимание школьников, мешает развитию их познавательных сил и возможностей и вместе с тем увеличивает загруженность учащихся во внеурочное время. В результате время для приготовления домашних заданий у значительной части учащихся превышает нормы, определенные уставом средней общеобразовательной школы. По данным выборочной проверки, сверх установленной нормы дома работают 30% школьников III классов, 19% учащихся VII классов, 16 % — IX классов.

Традиционной стала такая ошибка в ведении урока, когда запись заданий на дом даётся под звонок и после звонка. При этом делается это всегда наспех, без необходимых разъяснений о рациональных приемах их выполнения.

Требует дальнейшего совершенствования организация труда ученика и учителя. Не всегда методически правильно и достаточно эффективно используются технические средства обучения.

Наряду с большой учебной нагрузкой увеличивается занятость детей различными видами внеурочной деятельности.

Значительно снижена подвижность учащихся, преобладают статические виды деятельности, которые вытесняют отдых на открытом воздухе, занятия спортом и физическим трудом.

Анализ работы школ показывает, что во внеурочных спортивных занятиях систематически участвуют около 20 % школьников. Телепередачи ежедневно смотрят 70—75 % учащихся, выделяя на это в среднем 1,5 часа. Специалисты отмечают, что чрезмерное увлечение школьников телепередачами ведет к сокращению их отдыха на воздухе; уменьшению продолжительности ночного сна, отрицательно влияет на состояние здоровья учащихся.

Вызывает тревогу тот факт, что продолжительность сна значительной части детей меньше рекомендуемых норм.

Не всегда правильно организуется общественно-полез-

ный труд школьников. Так, в зимнее время трудовая деятельность в большинстве школ сводится к самообслуживанию и периодическому сбору макулатуры.

Имеются случаи, когда продолжительность массовых мероприятий не учитывает возрастных особенностей детей.

Наличие в работе школ указанных недостатков в значительной мере следует объяснить снижением ответственности директоров школ, их заместителей по учебно-воспитательной работе, организаторов внеклассной и внешкольной работы за выполнение требований устава средней общеобразовательной школы (§ § 43, 45, 47), отсутствием с их стороны систематического контроля за качеством уроков, объемом домашних заданий и планированием внеклассной работы.

Устранение перечисленных недостатков, повышение требований к четкой организации учебно-воспитательного режима представляет собою одну из актуальных задач органов народного образования и работников школ. От успешного решения этой задачи во многом зависит состояние здоровья школьников и эффективности учебно-воспитательной работы школы.

Одним из важных условий высокой работоспособности учащихся в течение учебного дня и недели является правильно в соответствии с педагогическими требованиями составленное расписание уроков. Данные о дневной динамике работоспособности школьников, полученные НИИ физиологии детей и подростков АПН СССР, показывают, что у учащихся II—III классов утомление начинается уже со 2-го урока и резко нарастает к 4-му. Более глубокое утомление наблюдается у школьников III классов. В средних и старших классах снижение работоспособности наблюдается на 4-м уроке. На 5-м уроке, благодаря „включению" компенсаторных механизмов организма, работоспособность повышается, а затем резко падает.

Целесообразно уроки по учебным предметам, требующим напряженной работы, планировать в расписании с учетом этих данных, Желательно чередовать уроки, вызывающие сильное утомление учащихся, с уроками меньщей труд-

ности. Это позволит школьникам переключать виды внимания, создает правильную последовательность устных и письменных видов работ и т. д. Как правило, не следует при составлении расписания предусматривать два часа занятий подряд по одному и тому же предмету. На этих уроках у учащихся быстро наступает утомление, а на последующих уроках работоспособнось оказывается очень низкой.

Необходимо избегать концентрации в расписании на один дни гуманитарных предметов, а на другие—естественно-математических.

В ряде школ нарушается длительность перемен, произвольно устанавливаются более короткие перемены, отдельные учителя не считаются со звонком, продолжают после него вести учебные занятия.

Известно, что наилучший способ восстановить работоспособность детей во время перемен—это дать им возможность двигаться на воздухе или проветренном помещении, приучая их при этом не превышать определенных пределов двигательной активности и не нарушать установленных в щколе норм поведения. Где это позволяют условия, следует организовать на перемене подвижные игры детей. В этих случаях за несколько минут до конца перемены следует переключить внимание детей на более спокойные занятия. Даже в прохладную погоду дети могут проводить перемены на свежем воздухе при условии, что они будут активно двигаться. Если в расписании две большие перемены, классы могут выходить на воздух поочередно. Если перемена проводится в помещении школы, перед ее началом рекреации должны быть хорошо проветрены. Во время перемены в обязательном порядке проветриваются учебные помещения (классы, кабинеты).

На здоровья и работоспособность школьников крайне отрицательно влияет завышение объема домашних заданий. Заместителям директора по учебно-воспитательной работе, а также классным руководителям следует постоянно контролировать объем домашних заданий, добиваться определенной согласованности между учителями с тем, чтобы время вы-

полнения не превышало норм, определенных уставом средней общеобразовательной школы (§ 12).

Необходимо ограничивать такие задания, которые значительно увеличивают время приготовления уроков: составление схем, карт, чертежей, зарисовок, подготовка докладов, рефератов, домашних сочинений.

Как показывает опыт школ, полезна разработка для учащихся специальных памяток по организации их самостоятельной работы дома.

Вопросы научной организации умственного труда должны постоянно находиться в поле зрения учителя; учащиеся должны получать рекомендации, как лучше организовать изучение данной темы, выполнение данного вида работы или упражнения и т. д.

Следует постоянно приучать школьников работать на уроке с учебником, справочником, словарем, показывая учащимся рациональные приемы их использования при подготовке домашних заданий.

Высокая работоспособность учащихся, снижение уровня утомляемости обеспечиваются соблюдением не только дидактических, но гигиенических требований к учебным занятиям.

Целесообразно, особенно при занятиях с младшими школьниками, систематически проводить в середине урока физкульт-паузы, чтобы снять утомление и дать определенную двигательную нагрузку организму ученика,

Вопросы предупреждения утомляемости школьников должны также учитиветься и при организации внеклассной работы. Исходя из того, что в период уроков у школьников неизбежно развываются гиподинамические явления, следует по возможности ограничивать время, отводимое на те виды внеклассной работы, которые требуют неподвижности, а также усиленной концентрации произвольного внимания (собрания, заседания, сборы). Недопустимо проводить их сразу после учебных занятий. Практика показывает, что воспитательная эффективность подобных мероприятий снижается, если на них затрачивается более 45 минут.

Каждый школьник должен выполнять только одно общественное поручение и работать не более, чем в двух кружках, при условии, что занятия в одном из кружков связаны с трудовой, художественной или спортивной деятельностью. Общественная работа поручается детям с учетом их индивидуальных интересов, возраста и состояния здоровья.

При построении режима дня школьника в целом следует учитывать также время, которое используется учащимися сообразно их индивидуальным наклонностям и интересам: школьникам младших классов 1—1,5 часа, а школьникам средних и старших классов—1,5—2,5 часа. Это время учащиеся используют для чтения художественной литературы, конструирования, рисования, просмотра телевизионных передач, занятия музыкой и др.

Правильная организация учебно-воспитательного режима возможна лишь в условиях постоянного внимания администрации школы и общественности к улучшению учебно-материальной базы школы, строгому соблюдению санитарно-гигиенических норм при эксплуатации школьного здания и оборудования. При этом особое внимание следует обратить на освещенность учебных помещений и соответствующие возрасту школьников размеры парт.

Практика показывает, что отклонения в режиме дня учащихся связаны с распорядком семей, а также недостаточным вниманием родителей к организации отдыха и свободного времени детей, их личной гигиены.

Долг подагогического коллектива—помочь родителям правильно организовать внешкольное время учащихся. По вопросам рациналного труда и отдыха школьников в семье, их режима дня следует систематически проводить беседы с родителями и индивидуальные консультации,

Следует рекомендовать родителям не допускать перегрузки детей более, чем одним дополнительным выдом учебы (иностранным языком, музыкой, изобразительным искусством и т. д, разумно ограничивать время просмотра телепередач, правильно органнзовать ночной сон, прогулки ребенка, объ-

язательно отводить определенное время на хозяйственные дела, предлагая при этом особенно такие виды деятельности, которые связаны с двигательной активностью и пребыванием на свежем воздухе.

Следует при этом иметь в виду, что правильная организация режима дня предусматривает: определенную продолжительность различных видов деятельности при их регулярности и рациональном чередовании; достаточный отдых с максимальным пребыванием на свежем воздухе; регулярное питание; гигиенически полноценный сон; повышение двигательной активности путем увеличения занятий физическими упражнениями и спортом.

Все рекомендации родителям по режиму дня, выполнению домашных заданий и организации досуга детей безусловно должны учитывать их индивидуальные особенности и условия жизни семьи.

Гигиеническое воспитание и образование являются неотъемлемой частью коммунистического воспитания подрастающего поколения.

В школе учащимся необходимо прививать элементарные санитарно-гигиенические навыки, дать определенный уровень соответствующих знаний, воспитывать у них сознательное отношение к своему здоровью.

Санитарное просвещение является обязательным разделом работы каждого учителя и проводится им как на уроках, так и во внеклассной работе.

Путем проведения бесед, чтения, просмотра диафильмов, устройства виставок детям и подросткам разъясняется сущность и значение различных оздоровительных мероприятий. Преподавание гигиенических знаний включено в учебные программы общеобразовательной школы, и учащиеся должны постепенно знакомиться с ними, указывать их по мере перехода из одного класса в другой на протяжении всех лет обучения.

Быстрота и прочность усвоения детьми и подростками гигиенических знаний и навыков во многом зависит от окружающих условий. Когда внешняя обстановка отвечает гигие-

ническим требованиям (помещения чисто убраны и проветрены, мебель поправна и аккуратно расставлена, умывальники и санитарные узлы правильно функционируют, организован питьевой режим), то гигиенические навыки усваиваются детьми быстрее.

Прочность привития детям и подросткам гигиенических навыков з висит и от самого учителя, его аккуратности и опрятности, а также от того, насколько твердо выполняется режим детским учреждением,

Г 4055

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 26 ივლისის ბრძანება № 628

## რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ, მიუხედავად განათლების სამინისტროს მიერ არაერთგზის მითითებისა და გაფრთხილებისა, სკოლამდელ დაწესებულებათა საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული დარღვევები. არ სრულდება განათლების სამინისტროს 1973 წლის 4 ოქტომბრის № 654 ბრძანება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1973 წლის 27 აპრილის დადგენილების 1973 წელს მუშა-მოსამსახურეთა შვილების საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის მიმდინარეობის შესახებ“.

აჭარის ასსრ, ხაშურის, გარდაბნის, ბორჯომის, საჩხერის, საგარეჯოს რაიონებში საავარაკოდ გასულ და ადგილზე დარჩენილ შემოწმებულ 60 სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობა მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, არ აქვთ ეზოები, სასმელი წყალი, ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა სამედიცინო მომსახურება, კვება და სხვ.

საგარეჯოს რაიონის ვერხვიანის საბავშვო ბაღი მოთავსებულია დაქირავებულ შენობაში, ხოლო ყანდაურის საბავშვო ბაღი — სკოლის პირველი სართულის ორ ბნელ, ნესტიან ოთახში. ამავე რაიონის კაკაბეთის საბავშვო ბაღში, საწოლებისა და ლოგინის მოწყობილობათა უქონლობის გამო, ბავშვებს ვერ აძინებენ. ასევე შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული გარდაბნის რაიონის „თბილსრესის“ ბაგა-ბაღი (გამგე ლ. ბაბაევა). ოთახები, სადაც სძინავთ ბავშვებს, ნესტიანი და ბნელია, ბაგა-ბაღის გამგეს ლ. ბაბაევას კი ამ ოთახის გვერდით დიდი და ნათელი ოთახი უკავია. ეზოში ან-

ტისანიტარიაა, არ აქვს სანეპიდსადგურის ნებართვა აგარაკზე გასვლის შესახებ. შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული აგრეთვე რკინიგზის № 20 საბავშვო ბაღი (გამგე ც. მაისურაძე). მას აკლია ინვენტარი, სათამაშოები (მხოლოდ ორი თოჯინა აქვთ წაღებული). ირღვევა დღის რეჟიმი, ბავშვებს სძინავთ ბაბთებით, ღამის პერანგების გარეშე, იზოლატორი საკუჭნაოს უფრო წარმოადგენს, ვიდრე სამედიცინო ოთახს (მასში მოთავსებულია უთო, სარეცხი ფხვნილი და სხვ.). საავთიაქო კარადაში არეულია მედიკამენტები. სააღმზრდელო ჯგუფები არაა ესთეტიკურად გაფორმებული. არ აქვთ ბუნების, სათამაშოების, წიგნების კუთხეები. სამზარეულო მოუწესრიგებელია, არ აწარმოებენ სადილის სინჯებს, პროდუქტების დასამუშავებელი ფიცრები არაა ხმარებაში. მზარეულს შემოწმების დღეს მენიუ არ აღმოაჩნდა.

ქობულეთის რაიონის სოფ. მუხაესტატეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში არაა შექმნილი ბავშვთა ცხოვრებისათვის (გამგე ე. ვერულიძე) ნორმალური პირობები. სასმელ წყალს ეზიდებიან შორი მანძილიდან, დარღვეულია სანიტარული ნორმები. თეთრეული ჭუჭყიანია, სააღმზრდელო ჯგუფებსა და საპირფარეშოებში ანტისანიტარიაა, არ აქვთ საკმაო რაოდენობის ჭურჭელი, ბავშვები ალუმინის თეფშებიდან ღებულობენ ულუფას. საბავშვო ბაღის გამგე ვერ ერკვევა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციფიკაში, არ აქვს სამუშაო გეგმა, ათდღიური მენიუ, ბაგა და ბაღი მოთავსებულია ერთ შენობაში. მიუხედავად ქობულეთის განათლების განყოფილების ჩარევისა, მათი შეერთება დღემდე ვერ მოხერხდა.

დაბალ დონეზე დგას აღმზრდელობითი მუშაობა ქ. ქუთაისის № 5 საბავშვო ბაღში (გამგე ზ. ბოჭორიშვილი). აღმზრდელები თ. მეძველია და ვ. თვალთვაძე ფორმალურად და უწიგნურად ადგენენ სამუშაო გეგმას, გარესამყაროს არ იყენებენ ბავშვთა გონებრივი განვითარებისა და მათი ჰორიზონტის გასაფართოებლად.

სამტრედიის ძაფსალები ფაბრიკის საბავშვო ბაღში აგარაკზე ასაკვალდაცილებული ბავშვებია წაყვანილი, რომლებიც არ იხდიან კვების გადასახადს.

გარდაბნის რაიონის სოფ. გამარჯვებისა და რუბეროიდის ბაგა-ბაღებს არ გააჩნიათ დღის რეჟიმი, რუბეროიდის ბაგა-ბაღში (გამგე ვ. ყიფიანი) ბაგის ასაკის ბავშვებს კვებავენ მეტად დაგვიანებით. დარღვეულია სანიტ-ჰიგიენური ნორმები, უსუფთაო იატაკ-

ზე ბავშვები ჩასველებულ ლეიბებზე სხედან. ოთახში მრავლადაა ბუზები. არ აქვთ ინდივიდუალური ღამის ქოთნები, ბავშვები ერთმანეთის ქოთნებს ხმარობენ, რომლებიც არ სუფთავდება ქლორიანი ხსნარით და ინფექციის გავრცელების საშიშროებას ქმნის.

შეუწყნარებელია ბავშვთა მოვლა-პატრონობის საქმე გარდაბნის რაიონის სამგორის საბჭოთა მეურნეობისა და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების 78-ე ბაგა-ბაღებში (გამგეები ო. ნატროშვილი, ბ. ფაშიანი): ბავშვებს ფრჩხილები დაუჭრელი აქვთ, ყურები გამოუსუფთავებელი, აცვიათ ჭუჭყიანი ტანსაცმელი, არ აქვთ ინდივიდუალური ცხვირსახოცები, კედელზე გაბმულია ობობას ქსელი. ოთახები ბუზებითაა სავსე.

სამგორის ბაგა-ბაღში სწორად არ წარმოებს ბავშვთა თერმომეტრიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ბაგა-ბაღს აქვს თოთხმეტი თერმომეტრი, ერთი თერმომეტრით ატარებენ თერმომეტრიზაციას. სათამაშოები მეტად მცირე რაოდენობით აქვთ, ისიც მოუვლელი და ჭუჭყიანია.

სამტრედიის ძაფსაღები ფაბრიკის საბავშვო ბაღსა და ბაგაში გამგეები (ს. სტურუა, ნ. კაკაბაძე) ახალდამწყებნი არიან და ვერ ერკვევიან საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციფიკაში. დაუკეტავი მაცივარი სამზარეულოში დგას, სადაც კარაქის მთელ მარაგს ინახავენ.

კვლავ დარღვევებია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კვაისის მაღაროთა სამმართველოს საბავშვო ბაღში. საბავშვო ბაღი დაკომპლექტებულია გამოუცდელი მუშაკებით. პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალიდან აგარაკზე გაყვანილია მხოლოდ სამ-სამი მუშაკი ამ საბავშვო ბაღში მომუშავეებიდან, დანარჩენი კი უცხოა. საბავშვო ბაღის გამგედ საღამოს სკოლის დირექტორია დროებით დანიშნული, მნედ—სამმართველოს ბუღალტერი, ექთნად—საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების მედდა, საბავშვო ბაღში არაა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, იზოლატორი მოუწესრიგებელია, არა აქვთ მედიკამენტები, ინდივიდუალური პირსახოცები და ფეხის გასამშრალებელი, თეთრეული ჭუჭყიანია, 75 ბავშვზე 10 პირსახოცია. უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მენიუ-ფაქტურის შედგენას, თითქმის ყველა ფაქტურა გადასწორებულია, სამზარეულოში არ აქვთ სასწორი, რის გამოც პროდუქტების ქვაბში ჩაშვება თვალზომით ხდება. შემოწმების დღეს საწყობიდან გაცემული იყო 4,5 კგ კარაქი, საუზმის გაცემის შემდეგ, ნაცვლად

3,6 კგ კარაქის აღმოჩნდა 2,95 კგ ე. ი. 650 გრამით ნაკ-ლები. საბავშვო ბაღში ყურადღება არ ექცევა ბავშვების დადები-თი ჩვევების აღზრდას, ჭამის კულტურის დანერგვას, არ არის ხელსაწმენდი, ბავშვები მაგიდებთან დიდხანს ელოდებიან ულუფას.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობაში არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა კვება. საკვებში ჭარბობს ნახ-შირწყლები, კოფეული. საჩხერის რაიონის სავანის საბავშვო ბაღში დღეში ორჯერ აძლევენ ფაფას შედედებული რძისაგან. სის-ტემატიურად არ ეძლევათ ხორცი, ბოსტნეული, ხილი. უხარისხო პროდუქტების მიწოდების გამო ზოგიერთი საბავშვო ბაღი უკანვე აბრუნებს პროდუქტებს. ასე მაგალითად, ქ. თბილისის 22-ე საბავ-შვო ბაღმა უვარგისობის გამო ხორცი დააბრუნა. კასპის ცემენტის ქარხნისა და ფოთის № 2 საბავშვო ბაღში ადგილი აქვს რძის და-გვიანებით მიტანის შემთხვევებს. ლანჩხუთის რ-ის სოფ. ეწერის საბავშვო ბაღში ადგილი ჰქონდა უხარისხო პროდუქტების შეტა-ნის შემთხვევებს. ქ. თბილისის 71-ე ბაგა-ბაღში ბავშვებს დააკ-ლეს სადილისათვის განკუთვნილი 150 გრ. კარაქი.

ზოგიერთმა განათლების განყოფილებამ არ გაატარაა წინა-მოსამზადებელი ღონისძიებები საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშა-ობაზე ნორმალურად გადასვლისათვის (საბინაო პირობები, ბავშვთა კონტინგენტი, სათანადო პედაგოგიური, სამედიცინო და ტექნიკური პერსონალის შერჩევა, ტექნიკურ თანამშრომელთა სანიტარუ-ლი წიგნაკების მოწესრიგება და სხვ.). აგარაკზე გასაყვან ბავშვთა კონტინგენტის შერჩევის საქმეში გარკვეული შეცდომა დაუშვა ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილებამ. ამ რაიონის 22-ე საბავშვო ბაღი მეტად დაქუცმაცებული კონტინგენ-ტით გავიდა აგარაკზე, რითაც დაირღვა განათლების სამინისტროს ის მითითება, სადაც აღნიშნულია, რომ განათლების განყოფილებას ეკრძალება 25 ბავშვზე (ერთ ჯგუფზე) ნაკლები კონტინგენტი შეუ-ერთოს სხვა საბავშვო ბაღს და აგარაკზე აღმზრდელად და ძიძა-დამლაგებლად გააყოლოს უცხო პირი. აღნიშნული საბავშვო ბაღი კი, ნაცვლად 6 სააღმზრდელო ჯგუფისა, გავიდა სამით—რაიონის შვიდი საბავშვო ბაღის ნაკრები ბავშვებით, ასე მაგალითად:

მე-17 საბავშვო ბაღიდან გაყვანილია ერთი ბავშვი, მე-19-დან— 75-დან—7 და ა. შ., რაც დაუშვებელია როგორც პედაგოგიური, ასევე ბავშვთა ადაპტაციის თვალსაზრისით—ბავშვებს უჭირთ არა-მარტო სხვა გარემოსთან, არამედ უცხო პედაგოგებთან და ტექნიკური პერსონალთან შეგუება.

წითელწყაროს რაიონის საბავშვო ბაღის გამგემ თ. ზედელაშვილმა 108 აღსაზრდელი, ყოველგვარი მომზადებისა და სანეპიდსადგურის ნებართვის გარეშე, ჩაიყვანა დასასვენებლად თეთრიწყაროს რაიონის დაბა მანგლისში. აღნიშნული ბაღი მოთავსებულია დაბა მანგლისის ოუსულ სკოლაში, რომლის სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა ძალზე არადამაკმაყოფილებელია. შენობა ავარიულია, საძინებელი ოთახების სანიტარულ-ტექნიკური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს საბავშვო ბაღისადმი წაყენებულ სანიტარულ მოთხოვნებსა და ნორმებს, სახელდობრ, საძინებელი ოთახების კედლები და ჭერი ჩამონგრეულია, დანესტიანებულია, იატაკი ამოძტვრეულია, ჭერიდან ჩამოდის წვიმის წყალი. ფართის სიმცირის გამო საწოლები მიდგმულია ერთმანეთზე, არა აქვთ საკანი პირადი ნივთების შესანახად, რის გამოც მათ ინახავენ საძინებელ ოთახებში.

სამზარეულოს ჭერისა და კედლების ბათქაში ჩამოცვენილია, არა აქვთ ჭურჭლის სარეცხი გამდინარე ცივი და ცხელი წყალი, პროდუქტების დასამუშავებელი მარკირებული ფიცრები და დანები. ამ დარღვევებისათვის ბაღის გამგე სანეპისადგურის მიერ დაჯარიმებულია 70 მანეთით, ხოლო საბავშვო ბაღი უნდა გადავიდეს სხვა შენობაში ან დაბრუნდეს უკან.

ადგილი აქვს აგარაკზე ბავშვების სამედიცინო შემოწმების გარეშე გაყვანას. პლასტმასის ქარხნის საბავშვო ბაღმა სურამში გაიყვანა გულით დაავადებული ბავშვი, რომელიც დაბრუნებულ იქნა აგარაკიდან.

მოუწესრიგებელი და კეთილმოუწყობელია საგარეჯოს რაიონის სკოლამდელი დაწესებულებები და ეზოები. რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში ჯერ-ჯერობით არაფერია გაკეთებული რესპუბლიკური დათვალიერების—„მიწის ნაკვეთების საუკეთესო დაგეგმვის, კეთილმოწყობისა და მისი მიზნობრივად გამოყენების შესახებ“. მოთხოვნათა შესასრულებლად არა აქვთ საჩრდილობლები, ეზოს სკამები, საბოსტნე ნაკვეთები, სპორტული დანადგარები.

ზოგიერთ რაიონს თითო ჯგუფით გაჰყავს 2—3 ან მეტი სა-

ბავშვთა ბაღი ავარიულზე, მაშინ როდესაც შესაძლებელია ეს ბავშვები შეერთოს და ერთი გამგის ხელმძღვანელობით გაგზავნოს, რაც ფინანსური თვალსაზრისითაც სწორი იქნება.

ხაშურის ბაგა-ბაღში ეზო შემოუღობავი და მეტად მოუვლელია, რის გამოც ვერ ხერხდება მისი გამოყენება ბავშვთა ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის, დაბალ დონეზეა ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობა, ყურადღება არ ექცევა ჯგუფის ოთახების გაფორმებას.

სურამის საბავშვო ბაღში, შემოწმების დროს, 5—6 წლიან ბავშვთა ჯგუფში (აღმზრდელი ი. ლორთქიფანიძე) 18 ბავშვიდან 11-ს ეძინა, ექვსი ბავშვი აღმზრდელის მეთვალყურეობის გარეშე თამაშობდა ეზოში.

ხაშურის რაიონში, გამაჯანსაღებელ მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, განათლების განყოფილებას არ გაუზრდია ბავშთა კვების თანხა (6 კაპიკი).

საგარეჯოს კაკაბეთის საბავშვო ბაღში (გამგე ჟ. დეკანოზიშვილი) შეფერხებაა წყლის მიწოდების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღში ადგილი აქვს ინფექციური ჩუტყვავილის შემთხვევას, სააღმზრდელო ჯგუფები იზოლირებული არაა ერთმანეთისაგან, ბავშვები საკვებს ერთად ღებულობენ და ჭურჭელიც ერთად ირეცხება. საპირფარეშოები არ სუფთავდება სადეზინფექციო ხსნარით. საგარეჯოს № 1 საბავშვო ბაღის ბავშვების პირსახოცებზე არა აქვთ ნიშნები, რის გამოც დარღვეულია მათი ინდივიდუალურად ხმარების წესი.

საჩხერის № 1 საბავშვო ბაღში არასწორად ატარებენ დილის ვარჯიშს, წინასწარ არ არჩევენ ვარჯიშობათა კომპლექსებს. არ იცავენ ბავშვთა პირად ჰიგიენას, ძილის წინ ყველა ბავშვი ერთდროულად ერთ ჭურჭელში იბანს ფეხებს.

ამავე რაიონის სავანის საბავშვო ბაღში, გამაჯანსაღებელ მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, არ ჩატარებულა მშობელთა კრება.

დარღვევებია კადრებით დაკომპლექტების საქმეში. კასპის ცემენტის ქარხნის ორჯგუფიან საბავშვო ბაღს აკარაკზე ახლავს 11 თანამშრომელი, რომელთა გარკვეულ ნაწილს არა აქვს სანიტარული წიგნაკები; საჩხერის № 3 საბავშვო ბაღში, ნაცვლად იმისა, რომ გამგე ატარებდეს დღეში 3,5 პედაგოგიურ საათს, აღმზრდელის ზედმეტი შტატია დაშვებული, სამხრეთ ოსეთის ა/ო კვაისის

მადაროთა სამმართველოს საბავშვო ბაღში პედაგოგიური კადრი სკოლის მასწავლებლებითა და სტუდენტებითაა დაკომპლექტებული.

სურამის საბავშვო ბაღში კადრების უმრავლესობა სხვადასხვა ასაკისაა, რაც უარყოფითად მოქმედებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე. ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელს თვითნებურად შეაქვს ცვლილებები აგარაკზე გათვალისწინებულ შტატებში, დამლაგებლის საშტატო ერთეულს იყენებენ მზედ, მრეცხავად და სხვ.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობა ბავშვთა გაჯანსაღება-გაკაჟებისათვის არ იყენებს ბუნებრივ ფაქტორებს: მზის, ჰაერის და წყლის აბაზანებს. სათანადო მუშაობა არ ტარდება ბავშვთა აზროვნების, მეტყველების, გარემომცველ სამყაროზე წარმოდგენათა გასავითარებლად. ბუნებრივი მასალები არაა გამოყენებული ბავშვთა შემოქმედებისათვის, თვითნაკეთი სათამაშოების დასამზადებლად.

მიუხედავად განათლების სამინისტროს მიერ არაერთგზის გაფრთხილებისა, აგარაკზე გასული საბავშვო ბაღები რეგისტრაციაში ტარდებოდნენ ადგილობრივ განათლების განყოფილებაში, ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელი ამას თავს არიდებს, რის გამოც არ ხერხდება მათი ადგილსამყოფელის დადგენა.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმების შედეგად გამოვლინებული ნაკლოვანებები ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ განათლების განყოფილებათა ზოგიერთი გამგე და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელი ჯეროვან შეფასებას არ აძლევს ბავშვთა გამაჯანსაღებელი კამპანიის ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს და არ ატარებს წინამოსამზადებელ მუშაობას, უპასუხისმგებლობას იჩენს სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგიური კადრითა და ბავშვებით სწორად დაკომპლექტების საქმეში (განსაკუთრებით სხვა უწყებები), სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტებთან ერთად არ ამოწმებს ადგილზე დარჩენილ და აგარაკზე გასულ სკოლამდელ დაწესებულებებს, არ უწევს სათანადო დახმარებას და არ ახდენს დროულ რეაგირებას გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სკოლამდელ დაწესებულებათა საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა:

ა) საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 4 ოქტომბრის № 654 ბრძანებით;

ბ) დაუყოვნებლივ მიიღონ ქმედითი ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა გამაჯანსაღებელ მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სასწრაფო ლიკვიდაციისათვის, შექმნან ყველა პირობა ბავშვთა ნორმალური ცხოვრება—გაკაჟებისათვის და დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენონ ამ ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩასატარებლად;

გ) განურჩევლად უწყებრივი დაქვემდებარებისა, ათი დღის ვადაში შეისწავლონ როგორც ადგილზე, ასევე აგარაკზე გასული სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობა და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გაატარონ სათანადო ღონისძიებები. ის საბავშვო ბაღები, რომლებიც აგარაკებზე გასულია შეუფერებელ პირობებში, დაუყოვნებლივ დააბრუნონ ადგილებზე;

დ) მომავალში აღკვეთონ სკოლამდელ დაწესებულებათა (ყველა უწყების) აგარაკზე გასვლა შესაფერისი კადრების შერჩევისა და ბავშვთა სწორი დაკომპლექტების გარეშე. სხვა უწყების ხელმძღვანელებთან ერთად პირადად გაეცნონ და დაამტკიცონ კადრის შემადგენლობა;

ე) დაავალდებულონ სკოლამდელი დაწესებულებები, აგარაკზე გასვლისთანავე გატარდნენ რეგისტრაციაში ადგილობრივ განათლების განყოფილებაში;

ვ) საკითხი საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შესახებ განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე; პერსონალურად იმსჯელონ და დასაჯონ ამ ბრძანებაში აღნიშნული დამნაშავე პირები და მიღებული ზომების შესახებ საქართველოს განათლების სამინისტროს აცნობონ ა/წლის 20 სექტემბრამდე.

დაისვას საკითხი სავაჭრო ორგანიზაციების წინაშე სკოლამდელ დაწესებულებათა მაღალხარისხოვანი პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგების შესახებ.

3. აღნიშნული ბრძანება დაეგზავნოს სამინისტროებსა და უწ-

ყებებს მათი სისტემის სკოლამდელ დაწესებულებებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

4. კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ განათლების განყოფილებათა გამგეებს, ერთნაირი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებათა მიმართ და გაუწიონ მათ სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფ. ეწერის საბავშვო ბაღში მომხდარი ფაქტის შესახებ საკითხი განიხილა საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიონულმა კომიტეტმა (10 ივლისი), № 19, 52/VI) და გაატარა სათანადო ღონისძიებები: საბავშვო ბაღის გამგე, სავაჭრო საცალო გაერთიანების დირექტორი მოხსნილი არიან სამუშაოდან, ხოლო საქმე გადაცემულია პროკურატურაზე.

6 სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 25 ივლისის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება № 915

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება მოსწავლე ახალგაზრდობაში შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის გასაუმჯობესებლად: მტკიცდება სასწავლო-ტექნიკური ბაზა, იზრდება კვალიფიციური შრომის მასწავლებელთა რიცხვი.

ქ. თბილისის 52-ე, 55-ე, 133-ე, ქ. რუსთავის მე-15, მე-19 და მთელ რიგ სკოლებში მოწყობილია კაბინეტ-ლაბორატორიები, სასწავლო სახელოსნოები მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილების საჭირო რაოდენობით, ჩარხებითა და იარაღებით.

მცხეთის რაიონის მისაქციელისა და ძალისის საშუალო სკოლებს აქვთ კარგად დაგეგმილი და დამუშავებული სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები. ამ სკოლებში ცალკეული სასწავლო დისციპლინებისა და შრომითი სწავლების გაუმჯობესებამ, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობის ორგანიზებულად ჩატარებამ განაპირობა მოსწავლეთა დაინტერესება სასწავლო დისციპლინებით, სასოფლო-სამეურნეო შრომითა და სხვ.

რესპუბლიკის ბევრი სკოლის IX—X კლასებში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების მუშაობა. პოლიტექნიკური პრაქტიკუმები შერჩეულია მოსწავლეთა სურვილისა და ადგილებზე მოთხოვნის გათვალისწინებით. ქ. რუსთავის სკოლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა დაკავშირებულია ამ ქალაქის სამრეწველო საწარმოებთან. რუსთავის მე-2, მე-7, მე-12, მე-13 საშუალო სკოლების მოსწავლეები საწარ-

მოთ პრაქტიკას გადიან მეტალურგიულ, ქიმიური ბოჭკოს და რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნებში.

ერთგვარად გაუმჯობესდა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მოსწავლეთა მონაწილეობის ორგანიზაცია. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები მუშაობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებზე. რესპუბლიკის ბევრ რვაწლიან და საშუალო სკოლაში დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული თვითმომსახურება, მოსწავლეთა მონაწილეობა მეორადი ნედლეულის შეგროვებაში, ბუნების დაცვასა და სხვა ღონისძიებებში. გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შექმნილი იყო 3161 საწარმოო ბრიგადა 114673 მოსწავლით. მათ შორის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობდა 96.921, ხოლო მშენებლობებზე, ქარხნებში, გამწვანებასა და კეთილმოწყობაზე-17.752 მოსწავლე. მათი შრომის ფულადმა ანაზღაურებამ 3.34 2929 მანეთი შეადგინა. აღსანიშნავია მცხეთის, ზუგდიდის, მახარაძის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ხონის, ქობულეთის, გალის, ჩოხატაურის, გორის, თელავის, გურჯაანისა და სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების საქმიანობა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ ნაწილში ჯეროვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის ინფორმაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. სკოლებში მოწყობილია პროფორიენტაციის კაბინეტი ან კუთხე, ტარდება მოსწავლეთა ექსკურსიები სამრეწველო საწარმოებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში, ეწყობა ე. წ. „ღია კარის“ დღე, შეხვედრები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან და სხვა გამოჩენილ ადამიანებთან.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საგრძნობ ნაწილში მოსწავლეთა შრომითი სწავლება და პროფესიული ორიენტაცია დაბალ დონეზეა დაყენებული, ხოლო ზოგიერთ სკოლაში ამ მიმართულებით არავითარი მუშაობა არ წარმოებს.

სკოლების ერთ ნაწილში არაორგანიზებულად ტარდება შრომის გაკვეთილები, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა ცოდნა და შრომითი ჩვევები; სუსტია გაკვეთილების აღმზრდელობითი ეფექ-

ტი, არ სრულდება შრომითი სწავლების პროგრამები. ბევრ საშუალო სკოლაში განსაკუთრებით IX კლასის მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა თავისი შინაარსით არ პასუხობს ამ კლასში შემოღებული პრაქტიკუმების პროფილს.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება შრომითი სწავლება სოფლის სკოლებში. წყალტუბოს რაიონის სოფ. ცხუნკარის საშუალო სკოლის სასწავლო მიწის ნაკვეთი სრულიად არ არის გამოყენებული სწავლებაში, ხოლო ქ. წყალტუბოს მე-3 სკოლას, რომელსაც ნაკვეთი არ გააჩნია, შრომითი სწავლების პროგრამიდან არჩეული აქვს მე-5 ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო შრომის სწავლებას.

ზოგჯერ სკოლების ხელმძღვანელები შრომის გაკვეთილებს აძლევენ არაკვალიფიციურ მუშაკებს. ცალკეულ შემთხვევებში შრომითი სწავლებისათვის განკუთვნილი საათები გამოყენებულია ზოგიერთი მასწავლებლის სასწავლო დატვირთვის გასადიდებლად. წყალტუბოს რაიონის სოფ. ცხუნკურის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებელ ვ. ა. შელამბერიძეს, რომელსაც საჭირო ცოდნა არა აქვს ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო შრომის სწავლებისათვის, მინდობილი აქვს ამ საგნების სწავლება IV—VIII კლასებში. მცხეთის საშუალო სკოლაში ტექნიკურ შრომას ასწავლის თვითნასწავლი პირი, ხოლო მცხეთის მე-2 რვაწლიან სკოლაში—ფიზკულტურის მასწავლებელი, ბოლნისის რუსულ სკოლაში მომსახურეობითი შრომის სწავლება შეთავსებული აქვს მათემატიკის, ისტორიის, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

რიგ რაიონებსა და ქალაქებში IX—X კლასებისათვის შრომითი სწავლების პროფილის შერჩევისას არაა გათვალისწინებული ადგილობრივი მოთხოვნები კადრებზე.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი იმ საშუალო სკოლებში, რომლებშიც, ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით, უფროსკლასელთათვის შემოღებულია ავტოსაქმისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესწავლა. სკოლებს ტრაქტორზე მუშაობის შესასწავლად არა აქვთ მოწყობილი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კაბინეტები. ზოგიერთი სკოლა მეურნეობიდან იღებს მოძველებულ, გაუმართავ ტექნიკას.

ბევრ სკოლაში არადამაკმაყოფილებელია საგნობრივი, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა. წრეებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირეა მოსწავლეთა რაოდენობა. არასაკმაო რაოდენობითაა საწარმოო-ტექნიკური წრეები: ნორჩ რადიომემონტაჟეთა, ხარატთა, ზეინკალთა, მექანიზატორთა და სხვ.

სკოლების საგრძნობ ნაწილში მოსწავლეები არ არიან ჩაბმული საცდელ მუშაობაში

მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციას მრავალ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არათანმიმდევრულად ეწევიან. სკოლები არ არიან ინფორმირებული სახალხო მეურნეობაში მუშათა კადრების პერსპექტიულ მოთხოვნებზე, არ არიან უზრუნველყოფილი თვალსაჩინო ინფორმაციით სხვადასხვა პროფესიათა შესახებ, რის შედეგადაც რვაკლასდამთავრებულთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოდგენა არ აქვს მუშათა პროფესიებზე.

პროფორიენტაციული მუშაობის პროცესში სკოლები არ ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს კადრებზე, კურსდამთავრებულთა პროფტექნიკურ სასწავლებლებში გასაგზავნი კონტინგენტის გეგმებს, მოსწავლეებში მუშათა პროფესიებისადმი ინტერესთა ფორმირებას და სხვ.

სკოლების პედკოლექტივებს სუსტი კავშირი აქვთ დამყარებული წარმოებებთან, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან.

შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საქმეში არსებული ზემოაღნიშნული და სხვა ნაკლოვანებები გამოწვეულია მინდობილი საქმისადმი სკოლების დირექტორების არასაკმაო პასუხისმგებლობით. ისინი დაბალ მოთხოვნებს უყენებენ მასწავლებლებს, კლასის ხელმძღვანელებსა და სკოლის სხვა მუშაკებს, არ იღებენ გადამჭრელ ზომებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რესპუბლიკის რიგ რაიონსა და ქალაქში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შრომითი სწავლების საინსპექტორო და შინასასკოლო კონტროლი, იგი ტარდება არარეგულარულად, ნაკლოვანებათა და მათი გამომწვევი მიზეზების გაანალიზების, სკოლებისათვის კონკრეტული დახმარების გაწევის გარეშე,

სახალხო განათლების განყოფილებები და პროფორიენტაციის საუწყებათაშორისო საბჭოები საჭირო დახმარებას, ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს

შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციული მუშაობის გაუმჯო-ბესების საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროფორიენ-ტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი კი კვლავ არასაკ-მაო დახმარებას უწევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სა-ხალხო განათლების განყოფილებებს.

ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტე-ტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 12 აგვისტოს დადგენილებაში და მოსწავლეთა შრომითი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1974 წლის 3 ივნისის ცირკულარულ წერილში მოცემულ მითითებათა განსახორციელებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ;

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ საჭირო ზომები ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში უახლოეს 2—3 წელიწადში შრომის კაბინეტების შესაქ-მნელად;

ბ) სკოლების ინსპექტორების დროს განსაკუთრებით გაამახვი-ლონ ყურადღება შრომითი სწავლების, სასწავლო-ტექნიკური ბა-ზის, პროგრამებით გათვალისწინებული თემების შესწავლის თან-მიმდევრობისა და შრომითი სწავლებისათვის განკუთვნილი საათე-ბის რაციონალურად გამოყენებაზე;

გ) შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პირველ რიგში ამ ბრძანებაში მოხსენიებულ სკოლებში, მოსწავლეთა შრო-მითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობა და შედეგები განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭო-ების სხდომებზე, დასახონ და გაატარონ ღონისძიებანი სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტა-ციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის;

დ) მიაღწიონ სკოლისგარეშე დაწესებულებების ამ საქმეში მუშაობის გაუმჯობესებას, სკოლებში ბავშვთა ნამუშევრების გამო-

ფების ყოველწლიურ მოწყობას, საუკეთესო ნაკეთობების საგამოფ-
ენო, საქალაქო კონკურსების ჩატარებას,

ე) გადასინჯონ შრომის მასწავლებელთა შემადგენლობა და ის პირები, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და მუშაობის უნარი, დადგენილი წესის დაცვით, ახალი სასწავლო წლიდან გაათავისუფლონ სამუშაოდან;

ვ) იზრუნონ შრომის მასწავლებლების დახელოვნებაზე 1975—76 წლების მანძილზე დახელოვნების ინსტიტუტების მეშვეობით.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

ა) 1975—76 წლების მანძილზე ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში, როგორც მინიმუმი მოაწყონ სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები;

ბ) სასწავლო სახელოსნოებსა და შრომის კაბინეტებში მოაწყონ სამუშაო ადგილები ყველა მოსწავლისათვის, შეავსონ ისინი მექანიზმებით, ხელით სამუშაო იარაღებითა და უზრუნველყონ ყოველი მეცადინეობის ორგანიზებულად ჩატარება, პროგრამული მასალის თანამიმდევრობით შესწავლა;

გ) სოფლის სკოლებში სასწავლო მიწის ნაკვეთებზე სისტემატურად აწარმოონ სათანადო მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ სკოლებს, რომელთაც დღემდე არა აქვთ გამოყოფილი მიწას ნაკვეთები სასწავლო საცდელი მუშაობისათვის ან მათი ფართობი მცირეა გამოუყონ საჭირო მიწის ფართობი;

დ) არ დაუშვან შრომითი სწავლებისა და ფაკულტატიური მეცადინეობებისათვის გათვალისწინებული საათების არადანიშნულებით განაწილება;

ე) პროფტექნიკურ სასწავლებლებში გასაგზავნი კონტინგენტის შერჩევისას გაითვალისწინონ თითოეული ახალგაზრდის სურვილი, უნარი, შესაძლებლობა;

ვ) სათანადო კავშირი დაამყარონ და სისტემატურად წარმოუდგინონ შრომითი მოწყობის სარაიონო კომისიებს იმ ახალგაზრდების სია, რომელთაც სურვილი გამოთქვეს იმუშაონ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ სფეროში;

ზ) მოსწავლეთა პროფორიენტაციულ მუშაობაში მონაწილეობა მიაღებინონ პროფტექნიკური სასწავლებლების ინჟინერ-პედაგოგებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებს, საწარმოთა მოწინავეებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს. ფართოდ

გააცნონ მოსწავლეებს თანამედროვე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მასობრივი მუშათა პროფესიები, მუშათა შრომის პირობები, მოაწყონ მოსწავლეთა ექსკურსიები პროფტექნიკურ სასწავლებლებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შეხვედრები შრომის მოწინავეებთან, ვეტერანებთან;

თ) მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის სკოლებში შექმნან 7—9 კლასისაგან შემდგარი პროფორიენტაციის კომისიები. მათ შემადგენლობაში შეიყვანონ დირექციების, კლასის ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანებების (სასურველია უფროსი კლასების), საგნის მასწავლებელთა, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, მშობელთა კომიტეტის, სამედიცინო პერსონალი, შეფი საწარმოების, ორგანიზაციებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების წარმომადგენლები;

ი) პროფორიენტაციის სასკოლო კომისიას უხელმძღვანელოს სკოლის დირექტორმა ან მისმა მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, მისი სამუშაო გეგმა შედგეს საერთო-სასკოლო მუშაობის გეგმის საფუძველზე;

კ) პროფორიენტაციის სასკოლო კომისიებმა სასწავლო მეოთხედში ერთხელ განიხილონ პროფორიენტაციის აქტუალური საკითხები და მოისმინონ კომისიის წევრების ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ. სასწავლო წლის მე-3 მეოთხედში კომისიის სხდომაზე გააანალიზონ გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა პროფესიული განზრახულებანი და სურვილები;

ლ) იმ სკოლებში, რომლებშიც ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი პროფორიენტაციის კაბინეტი ან კუთხე, დაუყოვნებლივ მოაწყონ შეფი საწარმოების მონაწილეობით.

3. კლასის ხელმძღვანელებმა:

ა) საგნების მასწავლებლებთან ერთად სისტემატური დაკვირვებების, საუბრებისა და ანკეტური გამოკითხვის საშუალებით გამოავლინონ თითოეული მოსწავლის მიდრეკილება, (პროფესიული ინტერესი, უნარი, შესაძლებლობა, შეიმუშაონ თავიანთი დასკვნები და წინადადებები;

ბ) გააცნონ მოსწავლეებს რაიონის, ქალაქის საწარმოების მუშათა პროფესიები, ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში მოსწავლეთა მშობლები, საწარმო-დაწესებულებათა სპეციალისტები;

გ) უზრუნველყონ თითოეული მოსწავლის მონაწილეობა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში, საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში მათი ინტერესებისა და მიდრეკილებების გათვალისწინებით;

დ) ყოველდღიური კონკრეტული დახმარება გაუწიონ VI—X კლასების მოსწავლეებს პროფესიების შეგნებულად არჩევაში, ინდივიდუალური მიდრეკილებებისა და მუშათა კადრებზე ადგილობრივ მოთხოვნათა შესაბამისად;

ე) სასწავლო წლის ბოლოს შეადგინონ მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დახასიათებები მათი ინტერესების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობათა ჩვენებით.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მასწავლებლებმა, სასწავლო მასალის გავლისა და კლასგარეშე მუშაობის პროცესში, მოსწავლეებს გააცნონ სხვადასხვა პროფესიები.

5. შრომის მასწავლებლებმა:

ა) მიაღწიონ სასწავლო სახელოსნოებსა და მომსახურეობითი შრომის კაბინეტებში სამუშაო ადგილების მოწყობას ყველა მოსწავლისათვის, მათ შევსებას მექანიზმებით, ხელის იარაღებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით;

ბ) არ დაუშვან სასწავლო სახელოსნოებსა და კაბინეტებში ანტისანიტარია, დროულად გაათავისუფლონ ისინი მასალების ნარჩენებისა და სხვადასხვა ნივთისაგან, მკაცრად დაიცვან უსაფრთხოების ტექნიკის წესები;

გ) შრომითი სწავლება წარმართონ სასწავლო პროგრამების მიხედვით, არ დაუშვან მათი უკუგდება ან თემების გამოტოვება, მიაღწიონ მოსწავლეებში ტექნიკური აზროვნებისა და კონსტრუქტორული უნარის განვითარებას, თითოეულის მიდრეკილების გამოვლინებასა და მათ მიერ პროფესიის სწორად ამორჩევას;

დ) უზრუნველყონ შრომითი სწავლების პროცესში მოსწავლეთა მიერ სკოლისათვის საჭირო ნაკეთობების დამზადება.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. გ. რაზმაძე):

ა) გააქტიუროს მუშაობა რესპუბლიკის სკოლებისადმი მეთოდური დახმარების გაძლიერების მიზნით;

ბ) უმოკლეს დროში შეიმუშაოს მოსწავლეთა პროფორიენტაციის სასკოლო კომისიის დებულების პროექტი და წარმოუდ-

გინოს იგი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას განსახილველად და დასამტკიცებლად;

გ) სკოლებისათვის მეთოდური დახმარების გაწევის მიზნით, 1975 წ. პირველ ნახევარში მოამზადოს გამოსაცემად მეთოდური ბროშურა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროფორიენტაციული მუშაობის ორგანიზაციის შინაარსისა და მეთოდების შესახებ“;

დ) სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად პროფორიენტაციის დარგში შეარჩიოს საბაზოდ თითო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ყველა ქალაქად და სოფლად და მათი სიები წარმოადგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად;

ე) პერიოდულად პრესის, რადიოსა და ტელე ადაცემების საშუალებით მოახდინოს შრომითი სწავლებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის დარგში სკოლების საუკეთესო გამოცდილებათა განზოგადება:

ვ) 1975 წლის მე-2 კვარტალში მოამზადოს სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების ერთდღიანი თათბირ-სემინარი თემაზე—„შრომითი სწავლება, პროფორიენტაციული მუშაობის ორგანიზაცია და შინაარსი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“.

7. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძემ) 1975 წლის 30 მაისამდე შეიმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შორის პროფესიული ორიენტაციის მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და წარმოუდგინოს იგი განათლების სამინისტროს კოლეგიას განსახილველად და დასამტკიცებლად.

8 მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა):

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კურსებისა და კურს-სემინარების სასწავლო გეგმებში გაითვალისწინოს მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი სწავლების, პროფესიული ორიენტაციის ძირითადი საკვანძო საკითხები;

ბ) გაითვალისწინოს 1975—1976 წლებში შრომის მასწავლებელთა გადამზადება.

9) გაზეთ „სახალხო განათლებასა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ ამხ. ნ. შველიძემ, გ. საჯაიამ, სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე.

10. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის შესახებ (თან ერთვის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური კაბინეტების ფუნქციების ცვლილებათა განხორციელების მიზნით:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროფორიენტაციის მეთოდურ კაბინეტს ამიერიდან ეწოდოს „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი";

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი, პოლიტექნიკური სწავლებისა და სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა ამოყენების რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტს „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პოლიტექნიკური სწავლებისა და სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი";

გ) პოლიტექნიკური სწავლებისა და სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის შრომითი სწავლების მეთოდისტის 2 საშტატო ერთეული 1975 წლის 1 ლი იანვრიდან გადაეცეს შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტს.

12. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) გამოყოს საჭირო სახსრები პროფორიენტაციული მუშაობის დარგში მეთოდური ლიტერატურის გამოსაცემად.

13. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) საჭირო კონტროლი და ხელმძღვანელობა განახორციელოს ამ ბრძანების შესასრულებლად.

14. ეს ბრძანება განსახილველად და შესასრულებლად დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 4 ნოემბრის ბრძანება № 931

## ქ. თბილისის, ცხაკაიას, მაიაკოვსკისა და წალენჯიხის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც შემოწმებით დადგინდა, მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის, ცხაკაიას, მაიაკოვსკისა და წალენჯიხის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სასწავლო წლის მზადყოფნისათვის, ამ საქმეში მაინც სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

საბავშვო ბაღების (ბაგა-ბაღები) ხელმძღვანელთა ერთმა ნაწილმა ვერ უზრუნველყო შენობათა რემონტების დროულად და ხარისხიანად დამთავრება და დადგენილ დროს ვერ განაახლა სასწავლო წელი. რემონტები გაჭიანურდა და ახალი სასწავლო წლისათვის მუშაობა დროულად ვერ დაიწყეს ქ. თბილისის №№ 2, 15, 24, 30, 45, 49, 73, 97; ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის სანაშენო მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის, დაფნის საბჭოთა მეურნეობისა და ზოგიერთმა სხვა სკოლამდელმა დაწესებულებამ.

მაიაკოვსკის რაიონის 19 სკოლამდელი დაწესებულებიდან რემონტი არც ერთში არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ შენობები ძალზე ძველია და ხანძრის გაჩენის საშიშროებაა. ამავე და წალენჯიხის რაიონების საბავშვო ბაღის ზოგიერთ გამგეს დღემდე არავითარი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიება არ ჩაუტარებია (არა აქვთ სტენდი, ცეცხლმაქრი და სხვ.).

წალენჯიხის რაიონის ლიისა და ჯვარის საბავშვო ბაღები მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში. იატაკი და ჭერი დაზიანებულია, კედლები ნესტისაგან ჩამონგრეულია, ფართობის სიმცირის გამო საწყობში ერთადაა თავმოყრილი ყველა სახის პროდუქ-

ტი და ინვენტარი (ბოსტნეული, ჭურჭელი, თეთრეული, საკანცელარიო ნივთები და სხვ.).

ქ. თბილისის ლენინის რაიონის 59-ე ბაგა-ბაღში რემონტი უხარისხოდ და უგემოვნოდ ჩატარდა. თორმეტივე სააღმზრდელო ჯგუფის ოთახები ერთ ფერზეა შეღებილი. ამავე ბაგა-ბაღში მეთოდურად არასწორადაა გაფორმებული 5—6 წლიან ბავშვთა სააღმზრდელო ჯგუფი. მეტყველების განვითარებისათვის განკუთვნილ კუთხეში განლაგებული მასალა არ პასუხობს დასახელებული თემის შინაარსსა და ესთეტიკურ მოთხოვნებს. ბაგა-ბაღის მეთოდისტი ს. ჩალიჩავა სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს მეთოდურ საქმიანობას. ბაგა-ბაღის ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის შემოწმების პერიოდში იგი ადგილზე არ იმყოფებოდა, ქ. თბილისის განათლების განყოფილების დავალებით ორჯონიკიძის სახ. სკოლამდელ დაწესებულებებში ამავე საკითხს ამოწმებდა.

მიუხედავად ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და განათლების სამინისტროს არაერთგზის გაფრთხილებისა, ქ. თბილისის № 6 ბაღის გამგემ ვ. მაისურაძემ ვერ გარდაქმნა მუშაობა და ბაგა-ბაღში კვლავ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი (განათლების სამინისტროს მიერ 1973 წლის 4 ოქტომბერს გამოცხადებული აქვს საყვედური. ამჟამად განმეორებით გადამოწმდა ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნა). ვ. მაისურაძეს არ შესწევს უნარი ბაგა-ბაღს გაუწიოს სათანადო ხელმძღვანელობა, იგი ვერ ერკვევა გამგის ფუნქციებში, რის შედეგად დაბალ დონეზე დგას ბავშვთა მოვლა-პატრონობისა და სწავლა-აღზრდის საქმე.

შემოწმების დღეს ბაგა-ბაღში დაირღვა კვების დღის რეჟიმი. საუზმე გაიცა დაგვიანებით, 10 საათსა და 20 წუთზე. იმის გამო, რომ ბაგა-ბაღის გამგეს წინა დღით არ გაუფორმებია მენიუ, მზარეულმა არც კი იცოდა, რა უნდა დაემზადებინა დილით საუზმეზე. ბავშვების მიღებისას არასწორად ჩატარდა სამედიცინო შემოწმება (ყელის, კანის გასინჯვა, ტემპერატურის გაზომვა და სხვ.). ბაგა-ბაღში არაა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სამზარეულოს მუშაკები თეთრი ხალათებისა და თავსაბურავების გარეშე მუშაობენ. ბავშვებს არ აქვთ ინდივიდუალური პირსახოცები. ბაღის ჯგუფის 22 ბავშვზე 14 პირსახოცი ჰქონდა. სააღმზრდელო ჯგუფებსა და გამგის სამუშაო ოთახში მტვერი და უსუფთაობაა. ბაგა-ბაღში ადგილი აქვს ბავშვთა ჰეპატიტით (ბოტკინი) და ყბაყურით დაავადების შემთხვევებს. შემოწმებისას, დილით, გამგე

ვ. მისურაძე ბაგა-ბაღში არ იმყოფებოდა, რითაც დაირღვა განათლების სამინისტროს 1956 წლის 20 ივნისის № 685 ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს დილით, ბავშვთა მიღებისას, სკოლამდელი დაწესებულებათა ხელმძღვანელის ადგილზე აუცილებლად ყოფნას. ამ ბაგა-ბაღში ფორმალურად არსებობს აღმზრდელთა მეთოდური კაბინეტი, არ გააჩნიათ სათანადო მეთოდური ლიტერატურა, თვალსაჩინო მასალები, მეცადინეობათა სანიმუშო კონსპექტები, რის გამოც აღმზრდელები მოკლებული არიან მეთოდურ დახმარებას.

ბაგა-ბაღი მოუმზადებელი შეხვდა ახალ სასწავლო წელს. გამგე ვ. მისურაძე არ აწარმოებს სათანადო დოკუმენტაციას. ბაგა-ბაღს არ აქვს წლიური და მასთან გამომდინარე სასწავლო წლისათვის მზადების გეგმა, პედაგოგიური თათბირის ოქმები, თანამშრომელთა და ბავშვთა პირადი საქმეები, ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვაზე ბრძანებები. მშობლებთან მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. საკმაო ფართობის მქონე ეზო მოუვლელი და მოუწესრიგებელია, ასფალტი ამოცვენილია, არაა სპორტული იარაღები, ადრეული ასაკის ბავშვთათვის საცურაო გორაკი მოძველებული და დამტვრეულია, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვთა სიცოცხლეს.

ქ. თბილისის № 61 ბაგა-ბაღის გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ჯ. მამალაძემ დაარღვია შრომის დისციპლინა და ადრე დატოვა დაწესებულება. ანალოგიური მდგომარეობაა წალენჯიხის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში. შემოწმების დღეს ადგილზე არ აღმოჩნდნენ ენგურჰესის № 3 საბავშვო ბაღის გამგე გ. ჭანტურია, ჯვარის საბავშვო ბაღის მნე ჯ. საჯაია და მზარეული ნ. ჭანტუოია. არის შემთხვევები, როდესაც საბავშვო ბაღის გამგეები მუშაკებს არ აცნობენ მათ უფლება-მოვალეობას და მუშაობის ხანგრძლივობას, რაც იწვევს საჩივრებს ზემდგომ ორგანოებში.

წალენჯიხისა და მაიაკოვსკის ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეები და პედაგოგები უპასუხისმგებლოდ და ზერელედ ეკიდებიან მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საქმეს. მაიაკოვსკის რაიონის რონხის საბავშვო ბაღის გამგეს ხუციძეს სექტემბრის თვის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 20 საკითხიდან თვის ბოლოსათვის მხოლოდ ერთი საკითხი აქვს შესრულებული.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ცხაკაიას № 1 და წალენჯიხის ბაგა-ბაღის მუსიკის მასწავლებლები ვ. საჯაია და ი. შენგელია; ისინი ვერ ფლობენ სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, ბავშვებთან ვერ ატარებენ ინდივიდუალურ მუშაობას. ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიის საბავშვო ბაღის აღმზრდელი მ. ბერიშვილი. შემოწმებული სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა უმრავლესობა მოუმზადებელი შეხვდა ახალ სასწავლო წელს. არა აქვთ მოწყობილი და ორგანიზებული მხატვრული მასალისა და ბუნების კუთხეები. მხატვრული მასალა დანიშნულებითა და წელიწადის დროის შესაფერისად არაა გამოყენებული.

წალენჯიხისა და ცხაკაიას რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში ყურადღება არ ექცევა ბავშვებში დაკვირვებისა და მიღებული ცოდნა-ჩვევების განმტკიცებას, ესთეტიკური აღზრდის საკითხებს, ოთახის ყვავილები მოთავსებულია კონსერვის თუნუქის ყუთებსა და ქვაბებში, სათამაშოებისა და ინვენტარის შერჩევა არ ხდება ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით. წალენჯიხის № 1, ენგურჰესის № 3, ჯვარის საბავშვო ბაღებში ბავშვებისათვის თითქმის არ არის სათამაშოები, რაც იმით აიხსნება, რომ ზოგიერთი აღმზრდელი არ უმუშავებს ბავშვებს სათამაშოების ფრთხილად და ფაქიზად მოპყრობის ჩვევას. დაბა ჯვარის საბავშვო ბაღში უკანასკნელი წლების განმავლობაში შეძენილია 810 მანეთის სათამაშოები, მაგრამ ბავშვები ამ სათამაშოებს ვერ იყენებენ.

შემოწმებული რაიონების მრავალ სკოლამდელ დაწესებულებაში სათანადო ყურადღება არ ექცევა აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. არის შემთხვევები, როდესაც აღმზრდელს 5—10 წლის განმავლობაში არ გაუვლია დახელოვნების კურსები. მაიაკოვსკის რაიონის როხის საბავშვო ბაღის გამგეს მ. ხურციძეს, სპეციალობით ისტორიკოსს, თერთმეტი წელია კურსები არ გაუვლია. ასევე არ გაუვლიათ კურსები ამავე საბავშვო ბაღის აღმზრდელებს ც. გოგუაძესა და ნ. ხუხუნეიშვილს (მათემატიკოსებს), ლ. გაბუნიას (ზოგადი საშუალო განათლება), ლ. მაღლაკელიძესა და ნ. კახაძეს (ბიოლოგსა და გეოგრაფს). წალენჯიხის რაიონის განათლების სისტემის 18 სკოლამდელი დაწესებულების 89 პედაგოგიდან ნახევარს ზოგადი საშუალო განათლება აქვს. საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში შიდამეთოდურ კაბინეტებს არ იყენებენ

აღმზრდელთა დასახმარებლად და კვალიფიკაციის ამაღლებლად, ისინი საგამოფენო ოთახებს უფრო ჰგავს.

ზოგიერთ სკოლამდელ მუშაკს არ აქვს სათანადოდ გააზრებული მშობლებთან მუშაობის მნიშვნელობა და შინაარსი და მშობლებთან მუშაობაც უმეტეს შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს. მშობელთათვის განკუთვნილი კუთხეები და სტენდები შეუფერებელ ადგილზეა მოთავსებული—მასალა უინტერესო და არაფრისმთქმელია. ქ. თბილისის №/15 ბაგა-ბაღში (გამგე ი. მჭედლიშვილი) მშობელთათვის ძველი სტენდი ეზოში, შენობის კედელზე აქვთ გაკეთებული, სტენდზე მხოლოდ გასული წლის ერთ-ერთი დღის მენიუა გაკრული ნაგლეჯ ქაღალდზე. ანალოგიური მდგომარეობაა მაიაკოვსკის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში. მშობელთა კუთხეში მოთავსებული მასალა არადინამიკურია; კვების მენიუ ყოველდღიურად არ იცვლება, სტენდები მოძველებულია და მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს; ბავშვთა ცხოვრების მოწესრიგებისა და მათთვის ნორმალური პირობების შესაქმნელად არაა გამოყენებული მშობელთა აქტივი.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ბავშვთა კვებას: იშვიათად ღებულობენ ბოსტნეულს, ხორცს, რძის ნაწარმს, ხილს და სხვ. მაიაკოვსკის რაიონის № 2 საბავშვო ბაღს კარტოფილი 10 დღის განმავლობაში არ მიუღია, დიმის საბავშვო ბაღს ხორცი—17 დღის განმავლობაში, წალენჯიხის რაიონის № 1, № 2, სოფ. ლიასა და ობუჯის საბავშვო ბაღებში ბავშვებს აძლევენ დაკონსერვებული ხორცისა და შედედებული რძისაგან დამზადებულ კერძებს, წალენჯიხის № 1 საბავშვო ბაღში ადგილი ჰქონდა დღის რეჟიმის დარღვევათა შემთხვევებს—საუზმე ბავშვებზე გაიცა დილის 11 საათსა და 15 წუთზე.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობა ვერ ახერხებს ბავშვთა გეგმიური კონტინგენტის ათვისებას. მაიაკოვსკის რაიონში მ/წლის კონტინგენტის გეგმა შეადგენს 800 ბავშვ-ადგილს, ფაქტიურად 20 სექტემბრისათვის არის 699, წალენჯიხაში, ნაცვლად 1000 ბავშვისა, არის 890, ცხაკაიაში, ნაცვლად 880-სა—699.

მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისში მიმდინარე წლის ექვსი თვის ბავშვთა კონტინგენტის გეგმა შესრულებულია, ბავშვთა გამტარიანობა, ბავშვთა დღეები გეგმაზე მაინც ნაკლებია. კვლავ

ადგილი აქვს ბავშვთა სიების ხელოვნურად გაზრდას. არ იღებენ სიიდან იმ ბავშვებს, რომლებიც 10—20 დღის განმავლობაში უმიზეზოდ არ დადიან საბავშვო ბაღში და ამის შესახებ სათანადო განმარტებას არ აძლევენ მშობლებს. სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელთა უმრავლესობა არ აწარმოებს ბრძანებების წიგნს საბავშვო ბაღში ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვაზე.

მოუწყობელ მდგომარეობაშია სკოლამდელ დაწესებულებათა ეზოები სათანადო ყურადღება არ ექცევა მათ მოწყობასა და დანიშნულებით გამოყენებას ბევრ სკოლამდელ მუშაკს არა აქვს სათანადოდ შეგნებული ეზოს როლი ბავშვთა ყოველმხრივი განვითარების, მათი გაჯანსაღებისა და სკოლისათვის მომზადების საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქ. თბილისის სკოლამდელ დაწესებულებებში. მიუხედავად არაერთგზის მითითებისა, ორჯონიკიძის რაიონის № 14 ბაგა-ბაღის გამგემ მ. ელიავამ დღემდე ვერ შეძლო ეზოს გამოყენება ბავშვთა ასაკის მოთხოვნათა შესაბამისად. თითოეული სააღმზრდელო ჯგუფისათვის და ბავშვთა დაკვირვების განსავითარებლად ბაღში არაა გამოყოფილი ინდივიდუალური და საბოსტნე ნაკვეთები. ეზო იმდენადაა გადატვირთული დეკორაციული მცენარეებითა და ბალახით, რომ შეუძლებელია ბავშვთა შემოქმედებითი თამაშის გაშლა, სრულებით არ აქვთ ფიზიკური აღზრდისათვის ინვენტარი, ეზოს სკამებიც კი, რის გამოც ბავშვები იძულებული არიან მიწაზე დასხდნენ და დაისვენონ. ანალოგიური მდგომარეობაა № 15 და 29 ბაგა-ბაღებში (გამგეები ი. მჭედლიშვილი და ლ. ზურაბაშვილი). № 15 ბაგა-ბაღის ეზო მხოლოდ მსხმოიარე ხეხილითაა გადატვირთული და ბავშვებს სათამაშო ადგილი არ რჩებათ.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ დაუგზავნა სკოლამდელ დაწესებულებებს დებულება ეზოების, მიწის ნაკვეთების დაგეგმვის, კეთილმოწყობისა და მისი მიზნობრივად გამოყენების შესახებ. ამავე საკითხზე მიმდინარეობს დათვალიერება, ჯერჯერობით ამ მხრივ წინსვლა ძალზე უმნიშვნელოა.

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა,

სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების გან-
ყოფილებებმა:

ა) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი ამ ბრძანებასა და შემოწმების მასალებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსასწორებლად;

ბ) არ დაუშვან სკოლამდელ დაწესებულებათა რემონტების გაჭიანურება და უხარისხოდ ჩატარება;

გ) სკოლამდელ დაწესებულებათა ბავშვებით დაკომპლექტება აწარმოონ 1-დან 30 აგვისტომდე და, როგორც წესი, მომავალში სასწავლო წელი განაახლონ 1 სექტემბრისათვის.

ამ დაწესებულებათა პედაგოგიური პერსონალის შვებულებათა განრიგი შეადგინონ იმდაგვარად, რომ ისინი ადგილზე იმყოფებოდნენ 20 აგვისტოსათვის და უზრუნველყონ მათი მონაწილეობა მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების მუშაობაში;

დ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სკოლამდელი დაწესებულებების ბავშვთა დღისა და კონტინგენტის განუხრელად შესრულებაზე, სახალხო განათლების საბჭოებისა და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტებისა და ბაგა-ბაღის გამგეების ანგარიშები და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ამ საკითხის მოსაგვარებლად.

2. რაიონების (ქალაქების) სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტებმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ბ) არსებითად გააუმჯობესონ სკოლამდელ დაწესებულებათა შიდამეთოდური კაბინეტების მუშაობა და უზრუნველყონ პედაგოგიური კადრის დახელოვნება-გადამზადება. ამ მიზნით აღრიცხონ ის პედაგოგები, რომლებსაც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ გაუვლიათ მასწავლებელთა დახელოვნების კურსები და არაუგვიანეს 10 დეკემბრისა მათი სიები წარმოადგინონ განათლების სამინისტროში.

3. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესონ საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალის მუშაობაზე. იზრუნონ იმისათვის, რათა ბავშვებს შეუქმნან აღზრდისა და ცხოვრებისათვის ნორმალური პირობები;

ბ) აწარმოონ ბრძანების წიგნი ახალ სასწავლო წლისათვის სააღმზრდელო ჯგუფების ბავშვებით დაკომპლექტებასა და წლის განმავლობაში ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვაზე;

გ) თითოეულ მუშაკს გააცნონ საბავშვო ბაღის შინაგანაწესი, წესდება და განუმარტონ მათი უფლება-მოვალეობისა და მუშაობის ხანგრძლივობის შესახებ;

დ) უმოკლეს დროში მიაგვარონ ეზოების მოწყობისა და მათი დანიშნულებით გამოყენების საქმე;

ე) უზრუნველყონ ხანძარუშიშროების ღონისძიებათა გატარება და შეიძინონ ამისათვის საჭირო ინვენტარი.

4. ქ. თბილისის № 14 ბაგა-ბაღის გამგეს მ. ელიავას, რომელმაც ვერ უზრუნველყო ბავშვთა ცხოვრებისათვის სათანადო გარემოსა და პირობების შექმნა, გამოეცხადოს საყვედური.

5. გაფრთხილებულ იქნეს თბილისის № 15 ბაგა-ბაღის გამგე ი. მჭედლიშვილი, რომ თუ იგი უახლოეს დროში ვერ უზრუნველყოფს ეზოს მოწესრიგებასა და მშობლებთან მუშაობის სათანადოდ წარმართვას, მის მიმართ მიღებულ იქნება მკაცრი ზომები.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ქ. თბილისის № 59 ბაგა-ბაღის მეთოდისტი ს. ჩალიჩავა გადაყვანილია სხვა სამუშაოზე.

7. ქ. თბილისის № 7 ბაგა-ბაღის გამგის ვ. მაისურაძის სამუშაოზე შემდგომში დატოვება განათლების სამინისტროს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. იმის გამო, რომ ვ. მაისურაძე საავადმყოფო ფურცელზე იმყოფება და კოლეგიაზე არ გამოცხადდა, მისი საქმე განსახილველად გადაეცეს ქ. თბილისის პირველი მაისის განათლების განყოფილებას.

8. ცხაკაიას, წალენჯიხისა და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებებმა გაატარონ სათანადო ზომები ამ ბრძანებაში აღნიშნულ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ვერ მუშაობენ სათანადოდ და ნაკლი გააჩნიათ მუშაობაში.

9. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (მგ. გ. აბდუშელიშვილი) მკაცრი კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 14 ნოემბრის ბრძანება № 962

### მშობლიურ ლიტერატურაში მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

მოსწავლეთა მეშვიდე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ მშობლიურ ლიტერატურაში, რომელიც 1973—1974 სასწავლო წელს ჩატარდა, ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესის ზრდას კლასიკური და თანამედროვე მწერლობისადმი, აამაღლა მათი წერითი მეტყველების კულტურა.

ოლიმპიადა ორ ეტაპად ჩატარდა. ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო მერვე, მეცხრე და მეათე კლასების ოთხი ათასამდე მოსწავლემ, აქედან დასკვნით ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 1009-მ; საბოლოოდ გაიმარჯვა და სიგელებით დაჯილდოვდა 486 მოსწავლე.

განვლილმა ოლიმპიადამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის ბევრ სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე კარგად არის დაყენებული, რის შედეგად ც მოსწავლეთა დიდი ნაწილი ამჟღავნებს ფართო ნაკითხობას, დამოუკიდებელ ფიქრსა და გამოირჩევა ლოგიკური ანალიზის უნარით, მართლწერის წესების კარგი ცოდნით. ოლიმპიადაზე კარგ შედეგებს მიაღწიეს: თბილისის 1-მა, 23-ე, მე-2 გახანგრძლივებული დღის, 42-ე, 48-ე, 53-ე, 126-ე, 140-ე, № 1-მა ექსპერიმენტულმა, 131-ე, 128-ე, 76-ე, 78-ე, 104-ე, რუსთავის მე-2, მე-3, მე-10, ქუთაისის მე-3, მე-6, ახალციხის 1-მა, ბათუმის 22-ე, საკარეჯოს 1-მა და მე-2, სოხუმის 1-მა, მე-19, დუშეთის 1-მა და სხვა სკოლებმა.

ოლიმპიადის მონაწილეებმა თავიანთი დაძლიეს ყველა თემა, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი პროგრამის გარეშე ლიტერატუ-

რის საფუძვლიანი ცოდნაც გამოავლინა. ბევრმა, თავისუფალი თემის დამუშავებისას, ზოგიერთი ზნეობრივი საკითხის თავისებური გაშუქებაც სცადა, თავი გამოიჩინა, როგორც ღრმა ერუდიციის და მაღალი ლიტერატურული გემოვნების მქონე ახალგაზრდამ.

შემოქმედებითი თვითმყოფობით, თემისა და შინაარსის სრული შესაბამისობით გამოირჩევა თ. კერესელიძის (თბილისის 53-ე საშ. სკოლა), დ. კორძაიას (თბილისის 139-ე საშ. სკოლა), მ. სანაიას (ფოთის მე-5 საშუალო სკოლა), თ. ბარბაქაძის (ხაშურის 1-ლი საშ. სკოლა), ო. მღებრიშვილის (თბილისის 156-ე საშ. სკოლა), ხ. ჩიტაურის (თიანეთის რ. სიმონიანთხევის საშ. სკოლა), მ. კვატაიას (თერჯოლის რ. სიქთარვის საშ. სკოლა), თ. მეიფარიანის (თბილისის 126-ე საშ. სკოლა), რ. იოსელიანის (თბილისის 61-ე საშ. სკოლა), ი. კარაიანის (ახალქალაქის მე-5 საშ. სკოლა), კ. ასატიანის (თბილისის 110-ე საშ. სკოლა), ქ. აკოფჯანიანის (მარნეულის რაიონის შაუმიანის საშ. სკოლა), ა. ჩეპაოღლის (თბილისის 52-ე საშ. სკოლა), ნ. პავლიაშვილის (თბილისის 128-ე საშ. სკოლა). გ. ბოჩაროვის (თბილისის 32-ე საშ. სკოლა), ე. ზარქუას (სოხუმის მე-19 საშ. სკოლა) და სხვათა წერითი ნამუშევრები.

მაგრამ, ამასთან, მეშვიდე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ ისიც გვიჩვენა, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მოსწავლეთა ერთი ნაწილის მიერ შესრულებული წერითი ნამუშევრები თემას არ პასუხობს; მოსწავლეები არ იცნობენ ლიტერატურულ ტექსტებს, უშვებენ ფაქტობრივ, აზრობრივ, ორთოგრაფიულ-პუნქტუაციურ და სტილისტურ შეცდომებს, წარმოდგენა არა აქვთ ლიტერატურულ სტილზე, სიტყვათა შეთანხმებაზე დროსა და რიცხვში, მართვაზე და სხვ.

განსაკუთრებით ცუდი მომზადება გამოამჟღავნეს თელავის მე-3, სოხუმის მე-13, ონის რაიონის ბიპილეთის, თბილისის 142-ე და 143-ე, წალენჯიხის რაიონის ქვედა მაზანდრის, გეგეჭკორის რაიონის მუხურჩის, ორჯონიკიძის რაიონის კიცხისა და ზოგმა საშუალო სკოლამ, რომელთაგან წარმოდგენილმა ცალკეულმა მოსწავლეებმა „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასებანი დაიმსახურეს.

ცალკეული სკოლების წარუმატებლობა იმითაც არის შეპირობებული, რომ ზოგიერთი ზონალური საორგანიზაციო კომიტეტი

უპასუხისმგებლოდ მოექცა მასზე დაკისრებული ფრიად საპატიო მოვალეობის შესრულებას. მათ მიერ გადმოგზავნილი მოსწავლეთა თხზულებების მნიშვნელოვანი ნაწილი უსაფუძვლოდ იყო შეფასებული მაღალ ნიშნებზე. რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა, ნაშრომების განმეორებით გადასინჯვის შედეგად, დასკვნით ტურზე არ დაუშვა:

ამბროლაურის ზონიდან — 12 მოსწავლე (სულ წარმოდგენილი იყო — 27);

სამტრედიის ზონიდან — 6 (წარმოდგენილი იყო 6 ნამუშევარი);

ცაგერის ზონიდან — 19 (წარმოდგენილი იყო — 33);

ცხაკაიას ზონიდან — 19 (წარმოდგენილი იყო — 38) და ა. შ.

ზოგმა მოსწავლემ ლიტერატურული მასალისა და ფაქტების სრული უცოდინარობა, წერის დაბალი კულტურა გამოავლინა; ასე მაგალითად, ქ. სოხუმის მე-13 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე მ. ჯ-ძემ ქართული მწერლობის უძველესი ძეგლი „შუშანიკის წამება“ VIII საუკუნით დაათარიღა.

თელავის მე-3 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე მ.-შვილმა, ლიტერატურული ტექსტების უცოდინარობის გამო, თემას გადაუხვია. ამასთან, თხზულებაში იხმარა წინადადებები, რომელთა აზრის გარკვევა ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც აღმოჩნდა („...საქართველოს ამ სასიქადულო შვილებს, მთელი თავიანთი შემოქმედებისათვის გამოსადეგი პარაბოლა დაბეჩავებული გლეხობის მიერ გავლილი გზიდან გამოაქვთ: „ტანჯვის გავლით სიხარულისაკენ“) გარდა ამისა, მოსწავლე მართლწერის წესებისა და პუნქტუაციის ელემენტარულ ცოდნასაც ვერ ამჟღავნებს.

ქ. თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლის მ. გ-ციას თხზულებიდან „სამშობლოს თემა ქართულ საბჭოთა პოეზიაში“ ჩანს, მან არ იცის არამარტო ქართულ ლიტერატურაში შესწავლილი, არამედ ისტორიის სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი საკითხები.

სუსტად ისწავლება მშობლიური ლიტერატურა ლანჩხუთის რაიონის ნიგოეთის საშუალო სკოლაშიც, რომლის მეათეკლასელ ე. გ-შვილს თხზულებაში „მე და ჩემი მეგობრები“ უხეში ენობრივი ხასიათის შეცდომები აქვს დაშვებული.

მოტანილი ნიმუშები ცხადყოფს ამ რაიონებში [illegible] სკოლების მასწავლებელთა სუსტ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მოსწავლეთა მე-7 რესპუბლიკურ ლიტერატურულ ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის დაჯილდოვდნენ:

I ხარისხის სიგელებით—63 მოსწავლე;

II ხარისხის სიგელებით—423 მოსწავლე;

III მშობლიური ლიტერატურის მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ბ. ჟღენტი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების გამგე;

2. ს. დვალი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე;

3. ე. ქურციკიძე—საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

4. ო. დოლაბერიძე—პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექტორის გამგე;

5. ა. მჭედლიძე—რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

6. ე. გულდამიშვილი—ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი, ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

7. კლ. დევდარიანი—რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი;

8. ა. კვასხვაძე—რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, თბილისის პედკაბინეტის მეთოდისტი;

9. ვ. შეუმქტიევა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

10. ელ. სურგულაძე—რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

11. ი. წოწონავა—პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი;

12. გ. მიქაელიანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

13. ლ. პაიჭაძე—ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე;

14. ი. ბურშტეინი—თბილისის პედკაბინეტის მეთოდისტი;

15. ვ. გასპარაშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი;

16. ნ. მერადოვი—გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი;

17. ნ. ვოსკანიანი—თბილისის 93-ე საშ. სკოლის მასწავლებელი;

IV. მშობლიური ლიტერატურის რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

V. ზონალური ტური ჩატარდეს 1975 წლის 26 იანვარს, რესპუბლიკური—13 აპრილს.

VI. დაევალოს რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს, სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის რაიონებსა და ქალაქებს.

VII. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დროულად გააცნონ მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლებს რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება;

ბ) მშობლიური ლიტერატურის ოლიმპიადის ჩატარებისათვის ზონებში შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები.

VIII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმოსაფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) და ბ. ძნელაძის სახ.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ (ამხ. ზ. ლომიძემ) 1975 წელს გამოყოს საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩატარებისათვის.

IX. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა) გ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო საწერი ქაღალდი.

X. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის რვაწლიანი და საშუალო სკოლების პედსაბჭოების სხდომებზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის
31 ოქტომბრის დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მოსწავლეთა ლიტერატურული ოლიმპიადისა

1. ოლიმპიადა მიზნად ისახავს, გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლიურ ლიტერატურაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, ხელი შეუწყოს სკოლაში მშობლიური ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას.

2. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია რვაწლიანი და საშუალო სკოლების VIII—X (XI) კლასების ყველა მოსწავლეს.

3. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო;

ბ) ზონალური კომიტეტები — ზონის ცენტრად გამოყოფილ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან, ზონალური კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ სათანადო სპეციალისტები ცენტრიდან და აგრეთვე ზონაში შემავალი რაიონებიდან.

ზონალური კომიტეტების შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

4. ლიტერატურული ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად: პირველი—ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრში, მეორე—რესპუბლიკური—თბილისში. ზონალურ ტურს ატარებს ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურს კი—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

5. ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპულიკა დაყოფილია 28 ზონად:

1. თბილისი—ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის;
2. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ მოსწავლეთათვის;
3. ბათუმი—აჭარის ასსრ მოსწავლეთათვის;
4. რუსთავი—ქ. რუსთავის, გარდაბნის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
5. ცხინვალი—სამხრეთ ოსეთის ა/ო სკოლების მოსწავლეთათვის;
6. ქუთაისი—ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
7. სამტრედია—სამტრედიის. ვანის, წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის:
8. ზესტაფონი — ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
9. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეთათვის;
10. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
11. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
12. ჭიათურა—ჭიათურის, საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
13. გორი—ქ. გორის, გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
14. მცხეთა—მცხეთის, კასპის, დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
15. ახალციხე—ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
16. ახალქალაქი — ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
17. ბოლნისი—ბოლნისის, დმანისის, მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
18. თეთრიწყარო—თეთრიწყაროს, წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
19. თელავი—თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
20. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

21. მახარაძე—მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

22. ამბროლაური—ამბროლაურის, ონის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

23. მესტია—მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

24. ცაგერი—ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

25. ლენტეხი—ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

26. ყაზბეგი—ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

27. თიანეთი—თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

28. თბილისი—რკინიგზის სკოლების მოსწავლეთათვის.

6. პირველი—ზონალური ტური შედგება 1975 წლის 26 იანვარს, მეორე—რესპუბლიკური — 13 აპრილს. ზონალური ტურის კანდიდატებს, განათლების განყოფილებებთან შეთანხმებით, შეარჩევენ თვით სკოლების მოსწავლეთაგან, რომელთაც აქვთ სათანადო მონაცემები და სურვილი, მონაწილეობა მიიღონ ლიტერატურის ოლიმპიადაში.

ამ მოსწავლეთა სიები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ, ეგზავნება ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

7. ორივე ტურის თემებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. ზონალური ტურისათვის დალუქულ პაკეტებს საორგანიზაციო კომიტეტები მიიღებენ ფოსტით ან სპეციალური პირის საშუალებით.

8. ზონალური ტურის დღეს დალუქულ პაკეტს, ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით, ხსნის ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

შენიშვნა: ოლიმპიადაზე წერითი სამუშაო სრულდება წინასწარ მომზადებულ და შტამპდასმულ ქაღალდზე, რომელსაც ამზადებენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები.

9. ოლიმპიადაზე მონაწილე მოსწავლეებისათვის თემის დასაწერად განსაზღვრულია 5 ასტრონომიული საათი.

10 ზონალური ტურის მონაწილე მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ასწორებენ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები და გამარჯვებულთა შეფასების ნიშნებსა და ნაწერებს არაუგვიანეს 15 დღისა ზონალური ტურის ჩატარებიდან, უგზავნიან რესპუბლიკურ კომიტეტს.

11. ზონალურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გაიწვევს თბილისში, დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

12. რესპუბლიკური ტურის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრებს განიხილავს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურ ოლიმპიადში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მოსწავლეები, რომლებიც ორივე ტურში მიიღებენ მაღალ შეფასებას („4“ ან „5“).

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულებს დასაჯილდოებლად წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

**ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 8, მთავრობის სახლი. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 19 ნოემბრის ბრძანება № 978

## სასწავლო ტელეგადაცემების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ მიმდინარე სასწავლო წლის 1-ლი სექტემბრიდან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასწავლო ტელეგადაცემები. დღემდე განხორციელდა სულ 8 სასწავლო ტელეგადაცემა. მათ შორის თემატური გადაცემები—6-ჯერ, რუსულ ენაში—7-ჯერ, გეოგრაფიაში—2-ჯერ, საქართველოს ისტორიაში—2-ჯერ, ფიზიკაში (ქართული სკოლებისათვის)—3-ჯერ, ფიზიკაში (რუსული სკოლებისათვის)—3-ჯერ და მათემატიკაში—2-ჯერ.

სასწავლო ტელეგადაცემათა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ განათლების სამინისტროს ა/წლის 25 მარტის № 260 ბრძანების შესასრულებლად, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა, აგრეთვე პოლიტექნიკური სწავლებისა და სასწავლო-ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა ვერ განახორციელეს საჭირო ღონისძიებანი.

დღემდე არაა შერჩეული სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე მასწავლებლები, რაც აფერხებს სასწავლო ტელეგადაცემების მომზადება-მოწყობას.

სასწავლო ტელეგადაცემათა მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს პოლიტექნიკური სწავლებისა და სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტს (ამხ. დ. გვალიას):

ა) ტელეცენტრის მიერ მიცემული საათების ფარგლებში უზრუნველყოს სასწავლო ტელეგადაცემათა ანოტირებული პროგრამების შედგენა, აპრობირება და კოლეგიისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) სისტემატურად წარუდგინოს სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს განსახილველად მასალები სასწავლო ტელეგადაცემების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ და საბჭოს მიერ წამოყენებული წინადადებები წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს;

გ) მეტი მეთოდური დახმარება აღმოუჩინოს სკოლებს სასწავლო ტელეგადაცემათა მიღებისა და სწავლებაში გამოყენების საქმეში.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა (ამხ. ამხ. გ. საყვარელიძემ და თ. ზახაშვილმა):

ა) მიიღონ ზომები სასწავლო ტელეგადაცემათა გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა მაღალხარისხოვნად და დროულად შესასრულებლად;

ბ) გამოყონ თითო წარმომადგენელი სასწავლო ტელეგადაცემებზე ხელმძღვანელობის განსახორციელებლად.

3. სასწავლო ტელეგადაცემების ხელმძღვანელობის განსახორციელებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შეიქმნას სასწავლო ტელეგადაცემათა სამეცნიერო-მეთოდური საბჭო. სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წარმოდგენილი შემადგენლობა დამტკიცდეს (იხ. დანართი № 1).

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს (თავმჯდომარე ამხ. კ. გარდაფხაძე) მოამზადოს სასწავლო ტელეფილმები სხვადასხვა სასწავლო საგნის პროგრამით გათვალისწინებულ აქტუალურ თემებზე.

5. კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკს) და მეთოდურ განყოფილებას (ამხ. ლ. მათობიშვილს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება.

მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

დ ა ნ ა რ თ ი № 1

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის
31 ოქტომბრის დადგენილება

# სია

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო ტელეგადაცემათა სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს შემადგენლობისა

| № რიგ. | გვარი და ინიციალები | განათლება | სპეციალობა | თანამდებობა | სამუშაო ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | უ. ობოლაძე | უმაღლესი | პედაგოგიკა | მინისტრის მოადგილე | საქ. სსრ გან. სამინ. |
| 2 | რ. კანდელაკი | „ | ისტორიკოსი | სამმართველოს უფრ. | „ |
| 3 | ს. დვალი | „ | ფილოლოგი | სკ. სამ. უფრ. მოად. | „ |
| 4 | დ. გვალია | „ | ფიზიკოსი | მეთოდკაბ. დირექტ. | მეთოდკაბინეტი |
| 5 | ო. დოლაბერიძე | „ | ფილოლოგი | პედმეც. ინ. სექ. გამგე | პედ. მეცნ. ინსტ. |
| 6 | მ. ლორთქიფანიძე | „ | | მთ. რედაქტორი | სასწ. ტელეგად. რედ. |
| 7 | თ. მამულაშვილი | „ | | უფრ. რედაქტორი | „ |
| 8 | ა. მჭედლიძე | „ | ფილოლოგი | დირექტორის მოად. | მასწ. დახ. ინსტიტ. |
| 9 | ო. ხაზარაძე | „ | ფიზიკოსი | ლაბორატ. გამგე | პედ. კვლ. ინსტიტ. |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 10 | მ. ამონაშვილი | უმაღლესი | ფილოლოგი | დირექტორის მოად. | პედ. ქვლ. ინსტ. |
| 11 | ვ. კობახიძე | „ | ფიზიკოსი | კათედრის გამგე | სახ. უნივერსიტეტი |
| 12 | ე. ქურციკიძე | „ | ფილოლოგი | ინსპექტორი | განათლ. სამინისტრო |
| 13 | ლ. მნათობიშვილი | „ | ფიზიკოსი | მეთ. განყ. უფროსი | „ |
| 14 | ა. ფარჯანაძე | „ | მათემატიკოსი | სექ.-ტ. გამგე | პედ. ქვ. ინსტ. |
| 15 | მ. ჩხარტიშვილი | „ | ფსიქოლოგი | სექტორის გამგე | ფსიქ. ინსტიტუტი |
| 16 | მ. კაპანაძე | „ | ქიმიკოსი | მეთოდკაბინეტის გამგე | მასწ. დახ. ინსტ. |
| 17 | ნ. დარჩიაშვილი | „ | გეოგრაფი | მეთოდისტი | ქალ. მეთოდკაბ. |
| 18 | ა. აბაშიძე | „ | მათემატიკოსი | „ | ტექ. საშ. მეთოდკაბ. |
| 19 | ს. დვალიშვილი | „ | ფიზიკოსი | „ | „ |
| 20 | გ. ფაჩუაშვილი | „ | ქიმიკოსი | „ | „ |
| 21 | ლ. ჯანიაშვილი | „ | ისტორიკოსი | „ | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 27 ნოემბრის ბრძანება № 998

### მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვის დაბადების 70 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ჩატარების შესახებ

1975 წლის მაისში ტარდება გამოჩენილი საბჭოთა მწერლის მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

ამ საკითხებზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად და საიუბილეო ღონისძიებათა ორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში 1974—1975 სასწავლო წლის მანძილზე მწერლის ნაწარმოებების გამოფენებისა და სტენდების მოწყობა, დისპუტებისა და საუბრების ჩატარება. მ. ა. შოლოხოვის ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილ კინოფილმებზე მოსწავლეთა კოლექტიური დასწრება, საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთების გამოშვება და სხვ;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში 1975 წლის მაისში ჩაატარონ მ. ა. შოლოხოვის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საიუბილეო დილა-საღამოები.

2. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძემ, გ. საჯაიამ) პე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიოდულად გამოაქვეყნონ მ. ა. შოლოხოვის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარების ამსახველი მასალები.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 21 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 27 ნოემბრის ბრძანება № 999

**მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ**

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებას — „მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ“.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 570

ქ. თბილისი, 1974 წლის 28 ოქტომბერი

**მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ**

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX—X კლასების მოსწავლეთა შრომისა და პროფესიის არჩევისათვის მომზადების გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 აგვისტოს № 662 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, სათანადო პირობების არსებობისას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარ-

მოების, სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მონაწილეობით შექმნან შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX—X კლასების მოსწავლეთათვის.

სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ძირითად ამოცანებს შეადგენს: მოსწავლეთათვის საწარმოებში შრომითი პროცესებისა და მუშების შრომის შინაარსის გაცნობა, მოსმოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის განხორციელება მათ მიერ პროფესიის შეგნებულად არჩევის მიზნით, შერჩეულ პროფესიაში მოსწავლეთათვის შრომის თავდაპირველი ჩვევების გამომუშავება. სასკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო კომბინატები წარმოადგენენ პროფესიული ორიენტაციის მუშაობის ცენტრებს რაიონის (ქალაქის) სკოლების მოსწავლეთა და მათ მშობლებს შორის.

სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების პროფილები განისაზღვრება მუშათა კადრებზე ადგილობრივი მოთხოვნებისა და არსებული საწარმოო ბაზის გათვალისწინებით.

2. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, მიმდინარე წლის 30 დეკემბრამდე დაადგინონ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების შექმნის შესაძლებლობა, გამოყონ კომბინატებისათვის შესაფერისი შენობები ან მიწის ფართობები მათ ასაგებად, კომბინატების აგებასა და კეთილმოწყობაში წილობრივი მონაწილეობა მიაღებინონ ახლომდებარე რამდენიმე მსხვილი საწარმოსა და ორგანიზაციის კოოპერირების წესით და ამის შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

3. დაევალოთ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს, უზრუნველყონ IX—X კლასების მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით არჩეულ პროფესიისათვის მათი ვარგისიანობის განსაზღვრის მიზნით.

4. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 აგვისტოს № 662 დადგენილებით

ა) სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები იმყოფებიან სახალხო განათლების ორგანოების გამგებლობაში;

ბ) სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების მმართველობის აპარატისა და მომსახურე პერსონალის შენახვა და პედაგოგიური მუშაკების შრომის ანაზღაურება, აგრეთვე ავეჯის, სამეურნეო მოწყობილობის შეძენისა და ამ კომბინატების კაპიტალური რემონტის ხარჯების დაფარვა წარმოებს იმ თანხებით, რომელსაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები გამოყოფენ სახალხო განათლებისათვის;

გ) ნება დაერთოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში შექმნან და აღჭურვონ სასწავლო საამქროები, უბნები, კაბინეტები, ლაბორატორიები, როგორც ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების სტრუქტურული ქვედანაყოფები, გამოყონ მოსწავლეთა სწავლებისა და შრომის ორგანიზაციისათვის კვალიფიციური მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები;

დ) მოსწავლეთა შრომით სწავლებაში გამოყენებული კვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შენახვის; შესაქმნელი სასწავლო საამქროების, უბნების, კაბინეტების, ლაბორატორიების სამეურნეო მომსახურების ხარჯები დაიფარება შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების თანხებიდან, მათ შორის იმ ასიგნობებიდან, რომლებიც მათთვის გამოყოფილია კადრების მოსამზადებლად.

აღნიშნული მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მიერ მოსწავლეთა პრაქტიკული სწავლებისათვის გაწეული შრომის ანაზღაურება, აგრეთვე სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში მოსწავლეთა შრომის ანაზღაურება წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1359 დადგენილების შესაბამისად;

ე) გავრცელდეს სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების მომუშავეებზე:

პედაგოგიურ მუშაკებზე:

ხელფასის განაკვეთები და შრომის ანაზღაურების სხვა პირობები, აგრეთვე ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობა და პენსიის უზრუნველყოფის წესი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისათვის არის გათვალისწინებული.

ხელმძღვანელ და სხვა მუშაკებზე (გარდა პედაგოგიურისა):

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებების ანალოგიური კატეგორიის მუშაკებისათვის, სადაც გათვალისწინებულია მუშების მანქანათსაშენებელი და ლითონდასამუშ ვებელი მრეწველობისათვის. მოსწავლეთათვის კონტინგენტის განსაზღვრისას ხელმძღვანელი მუშაკების თანამდებობრივი ხელფასების დადგენისათვის გამოიყენება კოეფიციენტი—0,25.

პედაგოგიური მუშაობის წესი (არაუმეტეს ორი საათისა დღეში), ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობა და პენსიის უზრუნველყოფის წესი, რომლებიც გათვალისწინებულია პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებების ანალოგიური კატეგორიის მუშაკთათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე შ. კიკნაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებისა და ამ საკითხზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1974 წლის 10 აგვისტოს № 112 ბრძანების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება და ეს ბრძანება განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მათ შესასრულებლად;

ბ) შეიმუშაონ 1975—1980 წლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების შექმნის გეგმები, შეუთანხმონ ეს საკითხი ხელმძღვანელ ადგილობრივ ორგანოებს და დასაბუთებული წინადადებანი მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს;

გ) გაითვალისწინონ მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და მწარმოებლური შრომის დამკვიდრებული ფორმების შენარჩუნება და განვითარება, უპირველეს ყოვლისა სასკოლო, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების, საწარმოებში სასწავლო საამქროებისა და უბნების არსებობა.

2. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძემ, გ. საჯაიამ) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების შექმნისა და მუშაობის გამოცდილების შესახებ.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. ჯანდიერიძე):

ა) დეკემბრის პირველ ნახევარში უზრუნველყოს ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და მსხვილ სამრეწველო ქალაქებში გამოცდილ მუშაკთა მივლინება მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების გახსნისა და მისი მოწყობის ორგანიზაციის შესახებ კვალიფიციური დახმარების გასაწევად;

ბ) გააანალიზოს ადგილებიდან მიღებული მასალები სასწავლო-საწარმოო კომბინატების შექმნის შესაძლებლობის შესახებ და საკითხი შემოიტანოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად;

გ) პერიოდულად შეამოწმოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებისა და ამ საკითხზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების შესაბამისი ბრძანებების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 21 ნოემბრის დადგენილება.

მინისტრი თ. ვ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 27 ნოემბრის ბრძანება № 1003

## ქართული ენისა და ლიტერატურის მოქმედი სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განმხილველი, მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ

§ 1

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 2 ივლისის № 517 ბრძანების შესაბამისად, შეიქმნას ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. უშ. ოზოლაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1-ლი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

2. აკ. შანიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგე;

3. არნ. ჩიქობავა, ფილოლოგიის მეციერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრის გამგე;

4. ალ. ბარამიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი;

5. პრ. კეკელიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი, ქ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე.

6. ლ. მენაბდე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე;

7. ს. ჭილაია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე;

8. მ. თალაკვაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი;

9. ს. ხუციშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორი;

10. ვ. რამიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგე;

11. ლ. კვაჭაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

12. ბ. ჟღენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი;

13. ვლ. მახარაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

14. ხ. ბერულავა, პოეტი, გამომცემლობა „განათლების" დირექტორი;

15. მ. ჩინჩალაძე პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტის დეკანი;

16. ო. დოლაბერიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების სექტორის გამგე;

17. ა. მჭედლიძე, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

18. ს. დვალი, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე;

19. ზ. როგავა, განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილების უფროსი;

20. ე. ქურციკიძე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

21. კლ. დევდარიანი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი;

22. ე. გულდამაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი, ქ. თბილისის 1-ლი საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (კომისიის მდივანი);

23. გ. ჯავახიშვილი, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი;

24. ე. სურგულაძე, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ქ. თბილისის 123-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

25. ავ. კვასხვაძე, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ქ. თბილისის მეთოდკაბინეტის მეთოდისტი;

26. დ. ჭყონია, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ქ. თბილისის 39-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

17. მ. ბაშინჯაღოვა, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

§ 2

კომისიამ შეიმუშაოს წინადადებანი ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანე-

ლოების შემდგომი სრულყოფის შესახებ და წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას 1975 წლის 20 აპრილამდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 21 ნოემბრის დადგენილება.

მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ПРИКАЗ № 1047

## МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ОТ 17 ДЕКАБРЯ 1974 Г.

**О состоянии преподавания родного и русского языков, родной и русской литератур в армянских школах г. Тбилиси**

Рассмотрев материалы проверки, Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР отмечает, что органами народного образования и педагогическими коллективами города проводится работа по улучшению преподавания и повышению уровня знаний учащихся по родному языку в армянских школах города.

Переход на новые учебные планы и программы по армянскому языку и литературе способствовал улучшению успеваемости, развитию устной и письменной речи школьников. Определенную работу проводит городской методический кабинет (директор А. В. Элизбарашвили, методист Р. В. Амиргулян), организуя семинары и лекции, оказывая во время проверок необходимую помощь учителям армянского языка и литературы.

В армянских школах города есть квалифицированные преподаватели, которые добиваются улучшения постановки преподавания родного языка и литературы, умело акивизируя на уроках самостоятельную познавательную деятельность учащихся. На уроках родной литературы такие учителя, как В. Асатрян (104 ср. школа), Н. Восканян (93 шк., Е. Чахалян (194 шк.), А. Овасапян (21 шк.), Р. Мирозян (40 шк.)

и др., добиваются прочного усвоения знаний по родному языку и литературе. Не случайно, из 22 победителей заключительного тура Республиканской олимпиады по армянской литературе, проведенной весной 1974 года, 11-учащиеся 93, 104, 21, 110 и 59 средних школ г. Тбилиси.

Наблюдается также и некоторое повышение уровня знаний учащихся по русскому языку.

Однако, несмотря на вышеуказанное, в преподавании родного и русского языков и литератур в армянских школах г. Тбилиси имеются существенные недостатки.

В большинстве из проверенных школ проводятся комбинированные уроки, вопреки указанию программы о раздельном проведении уроков чтения и грамматики в IV-VIII классах, что вызывает несоблюдение точного количества часов, отводимых на курсы чтения и грамматики. Для IV-VII классов армянской школы, в соответствии с вышеуказанным требованием программы, имеются два учебника: „Русская речь" и „Русский язык". Учителя, проводя комбинированные уроки, заставляют учащихся приносить на урок по две учебника, что порождает организционные трудности. Кроме того программа и учебники для IV-VII классов не рассчитаны на комбинированные уроки, и поэтому проведение таких уроков отрицательно сказывается на качество знаний и навыков учащихся.

Городские и районные методобъединения не оказывают необходимой помощи учителям русского языка в армянской школе, особенно в тех районах, где имеются всего 1-2 такие школы.

Следует отметить, что в большинстве проверенных школ плохо работают методобъединения учителей, а в 86, 92 и94 школах района им. 26 комиссаров их вообще нет.

На уроках родного и русского языков почти не используются дидаектические материалы, наглядность, технические средства обучения.

Ни в одной из проверенных школ нет кабинетов родно-

го и русского языков, в библиотеках нет необходимой художественной литературы на армянском языке, работа библиотекарей не соответствует современным требованиям.

В некоторых школах отсутствует необходимый контроль за преподаванием родного и русского языков, учителя плохо готовятся к урокам,, недостаточно работают над развитием устной и письменной речи и обогащением словаря учащихся, не систематически проверяют тетради для классных и домашних работ. Например, в VIII-X классах 86, 92 и 94 средних школ объем контрольных работ по родному языку и литературе не соответствует програмным требованиям; вместе положенных 5-страниц-учащиеся пишут 1,5—2 страницы.

В ряде школ сочинения по родной литературе имеют стандартный харектер, учащиеся допускают много ошибок, а учителя не всегда видят их при исправлении контрольных работ. Например, учителя А. Ованесян (школа № 86), А Степанян и С. Аветисян (школа № 94).

На уроках родного и русского языков не соблюдаются требования единого орфографического режима, учителя незнакомы с этими требованиями.

В проверенных школах ни один из преподавателей русского языка не проходил курсов переподготовки для работы по новым программам и учебникам, в результате чего учителя незнакомы с особенностями новых программ, методикой работы по новым учебникам.

В целях устранения выявленных недостатков,

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Директорам всех школ города, обучение в которых ведется на армянском языке:

а) организовать обсуждение настоящего приказа на педагогических советах и наметить конкретные меры устранения указанных недостатков;

б) усилить руководство и контроль за работой преподавателей армянского и русского языков и литератур, школьных методических объединений;

в) способствовать внедрению в учебный процесс технических средств обучения, наглядности, практических материалов;

г) активизировать работу школьных библиотек.

2. Учителям родного и русского языков:

а) систематически и тщательно готовиться к урокам, работать над повышением квалификации путем чтения методической и общепедагогической литературы;

б) добиваться на уроках оптимальных условий для активной речевой практики, применяя методы и приемы, стимулирующие мыслительную деятельность школьников, в том числе элементы проблемного обучения, наглядность, технические средства обучения;

в) соблюдать требования единого орфографического режима, нормы письменных работ, систематически развивать письменную речь учащихся.

3. РОНО им. 26 комиссаров (тов. Суджашвили К. А.) проследить за созданием во всех армянских школах района методических объединений учителей.

4. Тбилисскому ГорОНО (тов. Эгадзе Т. Н.):

а) совместно с городским методическим кабинетом (тов. А, В. Элизбарашвили) организовать в 1975 году курсы переподготовки для учителей русского языка армянских школ, согласовав этот вопрос с Институтом усовершенствования учителей;

б) организовать вместо районных—городские методобъединения учителей армянского языка и литературы и учителей русского языка армянских школ;

в) представить в Министерстве информации о проделанной работе по выполнению данного приказа к 1 октября 1975 года.

5. Управлению школ (тов. Канделаки Р. С.) проверить выполнение данного приказа в октябре—ноябре 1975 года.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 12 декабря 1974 года.

МИНИСТР: **Т. Лашкарашвли**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 18 დეკემბრის ბრძანება № 1048

### გორის, ბორჯომის, სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

„სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესაბამისად, გარკვეული მუშაობა ჩატარდა სასკოლო ინტერნატების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად: შემოღებულ იქნა ახალი საშტატო ერთეულები, გაუმჯობესდა სასკოლო ინტერნატების დაფინანსება, მაგარი და რბილი ინვენტარით მათი მომარაგების საქმე და სხვ.

მიუხედავად ამისა, როგორც საკითხის ადგილებზე შესწავლით დადასტურდა, გორის, ბორჯომის, სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სასკოლო ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ნელი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო ინტერნატების ტიპური შენობებით უზრუნველყოფის დასახული გეგმის შესრულება; 1974—1975 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკაში უნდა დამთავრებულიყო 9 სასკოლო ინტერნატის შენობა, ფაქტიურად საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 5.

ბორჯომის რაიონის სოფელ გუჯარეთის, ტაბაწყურის, გორის რაიონის სოფელ საყავრის, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვაბღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან არსებულ სასკოლო ინტერნატებს არა აქვთ საკუთარი შენობები, მოსწავლეები დაქირავებულ ბინებში ცხოვრობენ და მხოლოდ საძინებელი

ოთახები აქვთ, მათთვის ვერ ხერხდება სამუშაო და დასასვენებელი კუთხის გამოყოფა. არასახარბიელო მდგომარეობაა გორის რაიონის სოფელ ბოშურისა და სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს სასკოლო ინტერნატებში, რომლებიც ცალკე, მაგრამ არატიპურ შენობებშია მოთავსებული, არ გააჩნიათ ცენტრალური გათბობა, კვების ბლოკი და სხვ.

სასკოლო ინტერნატები ძირითადად უზრუნველყოფილია მაგარი და რბილი ინვენტარით, მაგრამ იგი უვარგისი, წყობიდან გამოსულია და საჭიროებს შეცვლას. ცუდად არის მომარაგებული მაგარი ინვენტარით ბორჯომის რაიონის გუჯარეთისა და ჩოხატაურის რიიონის სოფელ ქვაბლის სასკოლო ინტერნატები, მათ საწოლებიც კი არ ყოფნით.

გორის რაიონის სოფელ ბოშურის სასკოლო ინტერნატში (დირექტორი ამხ. ვ. ჯაფარიძე) არ ეკიდა ფარდები, ცივი ამინდის მიუხედავად, არ იყო დადგმული ღუმელები, სასადილო ოთახში მოუხერხებელი, გრძელი სკამები დგას და უმცროსი კლასების მოსწავლეები ფეხზე დამდგარი სადილობენ.

სრულიად არასაკმაო ღონისძიებანი ტარდება მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის დასაცავად გორის რაიონის სოფელ ბოშურისა და სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს სასკოლო ინტერნატში. სოფელ ბოშურის სასკოლო ინტერნატის არცერთ აღსაზრდელს არ აღმოაჩნდა საპონი, კბილის ჯაგრისი და ფხვნილი.

შემოწმებული რაიონების სოფლის საავადმყოფოების სამედიცინო პერსონალი საჭირო დახმარებას არ უწევს სასკოლო ინტერნატებს, მათ არა აქვს პირველი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები, სამედიცინო პერსონალის მუშაობა მხოლოდ მოსწავლეთა საერთო შემოწმებით განისაზღვრება.

შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებები არ სვამენ საკითხს ადგილობრივი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა წინაშე რძით, ხორცითა და ხილით სასკოლო ინტერნატების მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად, რის გამოც სერიოზული ნაკლოვანებაა მოსწავლეთა კვების საქმეში, ყველგან კერძები ნაკლებკალორიული და ერთფეროვანია.

სასკოლო ინტერნატებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა, ტრაფარეტული და ფორმალურია აღმზრდელთა სამუშაო გეგმები. დღის მეორე ნახევარში

მოსწავლეები მხოლოდ საშინაო დავალების მომზადებით არიან დაკავებულნი, ყურადღება არ ექცევა მათ ეთიკურ, ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდას. სასკოლო ინტერნატებს არა აქვთ მოძრავი ბიბლიოთეკა, გასართობი სათამაშოები, არ ხდება კინოფილმების დემონსტრირება და სხვა.

აღნიშნულ რაიონებში განათლების განყოფილების მიერ ან არ არის შესწავლილი სასკოლო ინტერნატების მუშაობის საკითხი ან თუ საკითხი შემოწმებული და განხილულია, შეუსრულებელია მათ მიერ დასახული ღონისძიებები.

გორის რაიონის სოფელ ბოშურის სასკოლო ინტერნატს, სადაც 86 აღსაზრდელია, არა აქვს საკუთარი ტრანსპორტი, რის გამოც ჭირს 29 კილომეტრის მანძილიდან პროდუქტებისა და ინვენტარის გადმოზიდვა.

სამტრედიის რაიონის საჯავახოს სასკოლო ინტერნატის შენობის 5 ოთახი დაკავებული აქვს ყოფილ დირექტორსა და მათემატიკის მასწავლებელს.

სასკოლო ინტერნატების მუშაობაში ხსენებულ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა, და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უმოკლეს ვადაში შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სასკოლო ინტერნატების მუშაობა, განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ და დასახონ სათანადო ღონისძიებანი მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; საჭიროების შემთხვევაში საკითხი დააყენონ ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე;

ბ) დააკომპლექტონ სასკოლო ინტერნატი შესაფერისი კადრებით, საჭირო კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე;

გ) ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით მიაღწიონ იმას, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სასკოლო ინტერნატების მოსწავლეთა საკვები პროდუქტებით უკეთ უზრუნველყოფის საქმეს;

დ) დასვან საკითხი ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების წინაშე, რათა სოფლის საავადმყოფოებმა შეფობა გაუწიონ სასკოლო ინტერნატებს, ყურადღება მიაქციონ ამ დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას, მოსწავლეთა პირად ჰიგიენას და მოამარაგონ ისინი პირველი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით.

2. სასკოლო ინტერნატების დირექტორებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო ინტერნატებში დღის რეჟიმის მტკიცედ დაცვას და დღის მეორე ნახევრის სწორ ორგანიზაციას, შინაარსიანი გახადონ მოსწავლეთა დასვენების პროცესი;

ბ) სისტემატურად იზრუნონ მოსწავლეთა კვების გასაუმჯობესებლად, მრავალფეროვანი გახადონ მათი მენიუ.

3. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა) შეისწავლოს გორის რაიონის სოფელ ბოშურის სასკოლო ინტერნატისათვის სატვირთო მანქანის გამოყოფის საკითხი და შედეგი მომახსენოს.

4. სასკოლო ინტერნატის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის გორის რაიონის სოფელ ბოშურის სკოლისა და სასკოლო ინტერნატის დირექტორს ვ. ჯაფარიძეს გამოეცხადოს საყვედური.

5. სასკოლო ინტერნატის მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს სასკოლო ინტერნატის დირექტორს ვ. შუბლაძეს მიეთითოს.

6. ბორჯომის, გორის, სამტრედიისა და ჩოხატაურის განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ბ. მინჯიამ, ავ. ჩხეიძემ, კ. ძნელაძემ, მ. კეკელიძემ) 1975 წლის 30 აპრილამდე მოახსენონ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) სისტემატურად შეამოწმოს სასკოლო ინტერნატების საქმიანობა და შედეგები საჭიროებისას მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას;

ბ) მოამზადოს წერილი საქართველოს კპ სამტრედიის რაი-

კომის სახელზე საჯავახოს სასკოლო ინტერნატის შენობაში უკა-
ნონოდ მცხოვრები პირების გაყვანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 12 დეკემბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი     თ. გ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 19 დეკემბრის ბრძანება № 1057

## ახალდაბისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატებში ჩატარებული საინვენტარიზაციო კომისიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 21 აგვისტოს № 554 და 1974 წლის 22 მარტის № 248 ბრძანებით მიცემულ მითითებათა მიუხედავად, ზოგიერთ სკოლა-ინტერნატსა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარების სხვა დაწესებულებებში უხეშად ირღვევა მატერიალურ ფასეულობათა შენახვისა და მოვლა-პატრონობის, ასევე ცვეთის ვადაგასულ, ხმარებისათვის უვარგისი ქონების ჩამოწერის არსებული წესები, რაც ძირითადად იმის შედეგია, რომ საინვენტარიზაციო კომისიები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათზე მინდობილ საქმეს, რითაც იქმნება პირობები მატერიალურ ფასეულობათა დატაცება-განიავებისათვის

ახალდაბის სკოლა-ინტერნატმა (ყოფილი დირექტორი კ. ბარბაქაძე) 1974 წელს განათლების სამინისტროს საბალანსო კომისიას ჩამოსაწერად წარმოუდგინა 38000 მანეთის ქონება, რომლის დადგენისათვის გამოყოფილ საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობაში არსებული წესის დარღვევით არ შეიყვანა ინტერნატის მნე ვ. ჩადუნელი მის მიმართ უნდობლობის გამოცხადების გამო.

შემოწმების შედეგად დეფორმირება-განადგურების დროს გადამოწმებისას ხმარებაში აღდგენილ იქნა 3500 მანეთის ქონება, მათ შორის ხავედრის კაბა 26 ცალი (აქედან სამი ცალი სრულიად უხმარი), ბამბაზიის კაბა 18 ცალი, შალის პალტო 33 ცალი, პიკეს პერანგი 144 ცალი, ფარდები ფანჯრის 110 ცალი, მიტკლის ზეწარი 18 ცალი, საბნის შალითა „კონვერტი" 17 ცალი.

ტაშისკარის სანატორიულ სკოლა-ინტერნატში ასევე საინვენტარიზაციო კომისიამ ხმარებისათვის უვარგისად ჩათვალა ბამბის საბანი 27 ცალი, საბნის შალითა „კონვერტი" 13 ცალი, ბავშვთა ბუფეტი 7 ცალი, რაც შემდეგ აღდგენილ იქნა ხმარებაში. მოუვლელობის გამო უვარგისი გახდა და ჩამოსაწერად იქნა წარმოდგენილი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 22 ცალი ალუმინის საკეცი საწოლი.

ანალოგიურ დარღვევებს ადგილი აქვს განათლების სამინისტროს დაქვემდებარების ზოგიერთ სხვა დაწესებულებაში.

საინვენტარიზაციო კომისიების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მატერიალურ-ფასეულობათა აღრიცხვის საქმის მოწესრიგების უზრუნველყოფის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს;

ა) შინასაუწყებო კონტროლისა და საინვენტარიზაციო კომისიებს ჩაუტარონ წინასწარი კონსულტაციები კომისიის წევრების უფლება-მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შესახებ, მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად;

ბ) საბალანსო კომისიისათვის ცვეთის ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგის მატერიალურ-ფასეულობათა ბალანსიდან ჩამოსაწერად წარმოდგენამდე პირადად შეამოწმონ საინვენტარიზაციო კომისიების მიერ შედგენილი სიები;

გ) გააძლიერონ კონტროლი მაგარი და რბილი ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე და არ დაუშვან ამ ქონების ვადამდე ამორტიზება.

2. ჩამოსაწერი ქონების სიის არასწორად შედგენისა და ამ ქონების დეფორმირება-განადგურებაზე წარმოდგენისათვის, ახალდაბის სკოლა-ინტერნატის საინვენტარიზაციო კომისიის წევრი, უფროსი ბუღალტერი შ. ა. ხაჩიძე განთავისუფლებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან.

3. ამავე ინტერნატის საინვენტარიზაციო კომისიის წევრებს: მოლარე-მოანგარიშე თ. ლ. ოსიპოვას, აღმზრდელებს: ი. ი. წაქაძეს, ა. თ. ლომიძეს, ა. კ. ნოზაძეს, მრეცხავ-მეთეთრეულეს ჟ. ი. ლომიძეს და დამლაგებელ ე. ა. რიკაძეს გამოეცხადოთ საყვედური.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1974 წლის 24 ივნისის ბრძანება № 494-ით ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატის დირექტორი კ. ბარბაქაძე განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

5. ახალდაბის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა თ. სირაძემ შეამოწმოს მნე ვ. ჩადუნელის მუშაობა და სათანადო წესის დაცვით გადაწყვიტოს დაკავებულ თანამდებობასთან მისი შესაბამისობის საკითხი.

6. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულის უახლოეს ნომერში:

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 12 დეკემბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი: თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 23 დეკემბრის ბრძანება № 1061

## ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლების სამართველოს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, რომ ლენტეხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებსა და რაიონის განათლების განყოფილებას მუშაობაში გააჩნიათ არსებითი ნაკლოვანებანი.

დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე მათემატიკაში, ქიმიასა და ფიზიკაში; სკოლებში დამკვიდრებულია ზეპირსიტყვიერი სწავლება. საგნის მასწავლებლები, გაკვეთილების გადაცემის დროს, გვერდს უვლიან თვალსაჩინოების გამოყენებას, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს, ამოცანებისა და სავარჯიშოების ამოხსნას.

არადამაკმაყოფილებელია მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის, არ ხდება მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადება, სუსტია შინასასკოლო კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე; არ ხორციელდება კონტროლი მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე.

სუსტია სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სკოლების დიდ ნაწილს არ გააჩნია სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები; ცუდადაა დაყენებული არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ეზო-კარმიდამოს დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმე.

არადამაკმაყოფილებელია კავშირი ოჯახსა და სკოლას შო-

რის, არ ხდება პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდა მშობელთა შორის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ლენტეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ჯ. ონიანმა):

ა) განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადის მოხსენებითი ბარათი და აღნიშნული ბრძანება განიხილოს სახალხო განათლების საბჭოსა და რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე; დასახოს და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ; არსებითად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, გააუმჯობესოს რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა;

ბ) პერიოდულად შეისწავლოს სკოლების მუშაობის სხვადასხვა საკითხი, კვალიფიციური ანალიზი გაუკეთოს არსებულ მდგომარეობას, გაატაროს ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

გ) რეგულარულად შეისწავლოს სკოლებში ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სწავლების მდგომარეობა; მიიღოს ზომები ცალკეული სასწავლო დისციპლინის სწავლების დონის ასამაღლებლად;

მკვეთრად გააუმჯობესოს სკოლებში მოსწავლეთა იდეურზნეობრივი აღზრდა, შრომითი სწავლება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროფორიენტაციული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების საქმეს;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, სასკოლო მიწის ნაკვეთების, კაბინეტ-ლაბორატორიების და სახელოსნოების მოწყობის, საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინოებით აღჭურვის საქმეს;

მიიღოს ზომები სასკოლო შენობების, ეზო-კარმიდამოს მოვლის უზრუნველსაყოფად; მკაცრად დასაჯოს იმ სკოლის დირექტორები და ცალკეული მუშაკები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სკოლის სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობის საქმეს;

ე) განახორციელოს ღონისძიებანი სასკოლო მუშაობის დაგეგმვის საქმეში შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. სამუშაო გეგმები გახადოს უფრო მოქნილი, კონკრეტული და ოპერატიული, აღკვეთოს გეგმებით გათვალისწინებული საკითხების შეუსრულებლობა, მკვეთრად გააძლიეროს სკოლაში შინასასკოლო კონტროლი და დახმარება მასწავლებელთა მუშაობაზე;

ვ) სათანადო სასჯელი დაადოს განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ არადამაკმაყოფილებლად მომუშავე იმ მუშაკებს, რომლებიც ამ ბრძანებით არ არიან დასჯილნი;

ზ) გადასინჯოს შრომითი სწავლების მასწავლებელთა კადრები და სათანადო წესის დაცვით გაათავისუფლოს ამ საქმის არასპეციალისტი და ცუდად მომუშავე მასწავლებლები.

2. ლენტეხის რაიონის სკოლების დირექტორებმა:

ა) ქმედითი ზომები მიიღონ საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის განხორციელებლად და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დროულად დასამთავრებლად;

ბ) მკვეთრად გააუმჯობესონ შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე; მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათი გაკვეთილების შესწავლა-განზოგადებას და მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ამაღლებას;

გ) გაატარონ ღონისძიებანი სწავლა-აღზრდის საქმეში სკოლისა და ოჯახის კავშირის შემდგომ განმტკიცებისათვის, გააძლიერონ პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდა მშობელთა შორის.

3. ლენტეხის რაიონის სკოლების მასწავლებლები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას. არ დაუშვან არცერთი გაკვეთილის მოუმზადებლად ჩატარების შემთხვევა, იმუშაონ საკუთარი მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, ფართოდ დანერგონ სწავლებაში თვალსაჩინოება და სწავლების თანამედროვე მეთოდები და ხერხები.

4. საგნის სწავლების არადამაკმაკმაყოფილებლად დაყენებისა

და მოსწავლეთა დაბალი მოსწრების გამო: ლენტეხის, ქახუნდრის, რცხმელურის საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებლებს: მ. ონიანს, გ. ონიანს, გ. ნემსაძეს; ლენტეხისა რცხმელურის საშუალო სკოლების ფიზიკის მასწავლებლებს: თ. კვერნაძესა და ნ. კორშიას, ქახუნდრისა და რცხმელურის საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლებლებს: მ. ახვლედიანსა და თ. მუკბანიანს გამოეცხადოთ საყვედური.

5. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ქახუნდრის, ლენტეხისა და ჩოლურის საშუალო სკოლის დირექტორებს: ჯ. ონიანს, პ. ჭვისტანს, მ. ბაბლუანს, რცხმელურის, ლენტეხისა და ქახუნდრის საშუალო სკოლების დირექტორების მოადგილეებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში: გ. ონიანს, კ. მესელიანსა და ზ. ხაბულიანს გამოეცხადოთ საყვედური.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) რაიონის პედკაბინეტის გამგე ი. დონღვანი განთავისუფლებულია სამუშაოდან;

ბ) ლენტეხის სკოლა-ინტერნატის ქიმიის მასწავლებელ ნ. მუკბანიანს, საგნის სწავლების ცუდად დაყენების გამო, განათლების განყოფილებამ ჩამოართვა ქიმიის საათები.

7. აღინიშნოს სკოლებისადმი ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ამხ. ჯ. ონიანი) ჯერ კიდევ არასაკმაო ხელმძღვანელობა და კონტროლი. ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილებამ 1975 წლის 30 ივნისისათვის მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

8) სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) საჭირო კონტროლი განახორციელოს აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე;

ბ) 1975 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მოახდინოს ადგილზე ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და შედეგები მოახსენოს;

გ) ათი დღის ვადაში მოამზადოს წერილი საქ. კპ ლენტეხის

რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის სახელზე რაიონის სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 12 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი — თ. ვ. ლაშქარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 1107
# МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКАЯ ССР ОТ 31 ДЕКАБРЯ 1974 ГОДА

**О преподавании русского языка и литературы в общеобразовательных школах с грузинским языком обучения Боржомского района**

Проверка состояния преподавания русского языка и литературы в грузинских школах Боржомского района показала, что в районе проводится определённая работа по созданию необходимых условий для успешного обучения школьников русскому языку и литературе, улучшению состава педагогических кадров, осуществлена их переподготовка, учителя обеспечены методической литературой, в ряде школ оборудованы класс-кабинеты и кабинеты русского языка.

Большинство учителей проверенных школ (2-ой Боржомской, Цагверской, Бакурианской, Квибисской) в основном справляются с работой. Большое внимание на уроках русского языка уделяется развитию устной речи, на каждом уроке проводятся беседы на темы из обыденной жизни, между учащимся устраиваются диалоги, что, безусловно, приносит большую пользу в деле изучения языка.

Хорошо преподают русский язык учителя Заниери К. В., Кутателадзе М. А. (2-ая Боржомская средняя школа), Шиоян Е. А., Хозанова И. А., Бандур В. А., Коптонашвили Е. П. (Бакурианская ср. школа), Хайрулин Г. К. (Чобисхевская 8-летняя школа), Карапетова Н. (Квибисская ср. школа).

Районное руководство отдела народного образования внимание уделяет постановке преподавания русского языка в школах района. Вопрос преподавания русского языка в школах района периодически рассматривается на заседаниях Совета РОНО и намечаются мероприятия по устранению имеющихся недостатков.

Вместе с тем проверка показала, что учителям ряда школ Боржомского района много еще надо поработать, чтоб добиться осознанного усвоения учениками русского языка, а также отдельных разделов программы по русскому языку и литературе (Чобисхевская 8-летняя школа, Цемская начальная школа и др.). Материал, изученный в начальной, а затем в восьмилетней школе недостаточно закрепляется, в результате чего число типичных ошибок в работах учащихся по мере перехода из класс в класс не сокращается. Наиболее слабым местом в подготовке учеников остается уровень навыков правописания, чтения, норм литературного произношения.

Не всеми учителями и школами выполняются указания по улучшению преподавания русского языка и литературы изложенные в приказе № 568 Министерства просвещения Грузинской ССР от 28.VIII-1973 года, опубликованного на основании Постановления ЦК КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР от 10/VII-1973 г.

Недостаточно эффективно используются на уроках русского языка и литературы наглядные пособия и ТСО, в особенности в начальных классах (Чобисхевская 8-летняя и и Цемская начальная школа).

Не всегда соблюдается учителями единство принципа обучения и воспитания подрастающего поколения.

Хотя учителями проводится словарная работа, но она носит односторонний характер, не проводится работа по уяснению многозначности слова, работа со словами-антонимами, синонимами.

На уроках русского языка недостаточно проводятся письменные упражнения, что не позволяет вырабатывать у учащихся устойчивые навыки, мало времени отводится на повторение ранее изученного материала, такое повторение подчас осуществляется без учета фактических знаний учащихся.

Виды письменных работ однообразны, не практикуются переводы с родного азыка на русский, изложение, сочинение. Во всех обследованных школах не уделяется должного внимания работе над ошибками, выправлению каллиграфии учащихся, не систематически исправляются тетради для классных и домашних работ. Недостаточную помощь оказывают учителям русского языка и литературы школьные библиотеки в деле повышения идейно-теоретического уровня учителей и их педагогического мастерства. Кроме того, учащиеся мало читают книг на русском языке. В Чобисхевской 8-летней школе в начальных классах русский язык преподают не специалисты этого предмета (М. Никабадзе, Т. Самсонидзе), в их речи много ошибок, произношение неверное, часто говорят на уроке по-грузински.

Не осуществляется опережающее рассмотрение в методических объединениях наиболее сложных разделов новых программ (например, описание картин, методразработка и методуказания по изучению рассказа Н. С. Тургенева „Жежин луг", отрывков из ромзна Н. Г. Чернышевского „Что делать?", изучение причастия и деепричастия в IX классе и др.).

Существенные недостатки имеют место и в постановке внутришкольного контроля. Несмотря на то, что посещение уроков руководителями школ осуществляется, как правило, выводы и рекомендации по результатам этих посещений носят неконкретный характер и не оказывают существенного влияния на последующую работу учителей, не всегда применяются меры, предупреждающие возможность повторения выявленных ошибок.

Хотя курсы переподготовки учителей, работающих по новым программам, прошли почти все учителя Божомского

района, однако недостатки в работе учителей преодолеваются крайне медленно.

С целью устранения выявленных недостатков,

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Учителелям русского языка общеобразователельных школ с грузинским языком обучения Боржомского района:

а) систематически работать над повышением своего идейно-политического уровня и своей профессиональной квалификации путем чтения политической, методической и педагогической литературы;

б) заострить внимание на идйно-политической направленности каждого урока, делая упор на улучшение идейно-нравственного воспитания учащихся;

в) создать условия для развития устной речи учащихся, применяя методы и приемы, стимулирующие мыслительную деятельность школьников, в том числе элементы проблемного обучения, наглядность, технические средства обучения;

г) разнообразить виды письменных работ, сиетематически развивать письменную речь учащихся;

д) уделить должное внимание работе иад ошибками.

2. Директорам школ:

а) устранить отмеченные в настоящем приказе недостатки в преподавании русского языка и литературы;

б) повысить требовательность к учителям, направить все усилия на улучшение преподавания русского языка и литературы в школах;

в) создать во всех школах кабинеты и класс-кабинеты русского языка, оснастить их наглядными пособиями, изготовленными силами учащихся;

г) периодически рассматривать на педсоветах вопрос постановки преподавания русского языка и литературы в грузинских школах;

д) улучшить работу школьных библиотек по организации самостоятельного чтения учащимися литературы на русском языке.

3. Отделу народного образования Боржомского района (тов. Б. В. Минджия):

а) повысить ответственность руководителей школ за выполнение рекомендации Министерства просвещения Грузинской ССР, изложенных в приказах и методических письмах по вопросу совершенствования учебного процесса в период перехода на новые программы и учебники;

б) повысить действенность внутришкольного и инспекторского контроля за преподаванием русского языка, с тем чтобы обеспечить оперативное осуществление необходимых мер по устранению выявленных недостатков;

в) усилить работу инспекторов-методистов по изучению, обобщению и внедрению в школах района передового педагогического опыта, позволяющего наиболее эффективное преподавание русского языка и лучшей подготовки учащихся, выработки у них прочных умений и навыков;

г) принять меры к тому, чтоб передать уроки русского языка в начальных классах высококвалифицированным учителям;

д) к 15 мая 1975 года представить Министерству просвещения ГССР информацию о проделанной работе по устранению недостатков в преподавании русского языка и литературы в школах района.

4. Управлению школ (тов. Р. С. Канделаки):

Периодически проверять состояние преподавания русского языка в школах республики и итоги проверки выносить на обсуждение Коллегии Минпроса ГССР.

ОСНОВАНИЕ; Постановление Коллегии Минпроса ГССР от 26. 12. 74 г.

Министр Т. В. Лашкарашвили

# შინაარსი


1. რეკომენდაციები—მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმის ორგანიზაციის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
2. Рекомендации—по организации учебно-воспитательного режима школьников . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10
3. ბრძანება—№ 628—რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 18
4. ბრძანება № 915—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 27
5. ბრძანება № 931—ქ. თბილისის, ცხაკაიას, მაიაკოვსკისა და წალენჯიხის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . 37
6. ბრძანება № 962—მშობლიურ ლიტერატურაში მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 45
7. ბრძანება № 978—სასწავლო ტელეგადაცემების მიმდინარეობის შესახებ . 55
8. ბრძანება № 998—მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვის დაბადების 70 წლისათვის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ჩატარების შესახებ 60
9. ბრძანება № 999—მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 62
10. ბრძანება № 1003—ქართული ენისა და ლიტერატურის მოქმედი სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 68
11. Приказ № 1047—О состоянии преподования родного и руского языков и литератур в армянских школах г. Тбилиси . . 72
11. ბრძანება № 1048—გორის, ბორჯომის, სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . 76
13. ბრძანება № 1057—ახალდაბისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატებში ჩატარებული საინვენტარიზაციო კომისიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 81

14. ბრძანება № 1061—ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 84
15. Приказ № 1107— О преподавании русского языка и литературы в общеобразовательных школах грузинским языком обучения Боржомского района . . . . . . . . . . . . . . . . . 89
16. შინაარსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 94

1814/16

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ექ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II-75 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6

შეკვ. № 164 უე—04406 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19